# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 17 მარტი, 2010 წელი.

№49 (6415)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




# იმედი ელდად გვიქციეს, ქვეყანა დაგვიქციესო...

## გიორგი არველაძისა და ეკა წამალაშვილის აუდიოჩანაწერი

***თბილისის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ინტერნეტ-საიტზე, „ფორუმ.გე"-ზე გამოქვეყნდა სატელეფონო საუბრის სკანდალური ფარული ჩანაწერი, სადაც თითქოს „ჯორჯიან იმედი პროდაქშენ გრუპის" ხელმძღვანელის გიორგი არველაძისა და მისი მოადგილის ეკა წამალაშვილის საუბარია.***




*აუდიომასალის თანახმად, მიხეილ სააკაშვილი არა თუ საქმის კურსში იყო „მოდელირებული ქრონიკის" მომზადებასთან დაკავშირებით, არამედ გიორგი არველაძეს სთხოვა, არც ტიტრის დადება მომხდარიყო და არც გადაცემის დასაწყისში ყოფილიყო განმარტებული, რომ იმიტაციაა.*

„ახლა რატომ გირეკავ, მიხვდები შენ თვითონ და დასკვნებს შენ თვითონ გამოიტან. მიშა მელაპარაკებოდა გუშინ. რას შვრებითო, ვაკეთებთ-მეთქი. ხო ისე გავა, როგორც ჩვეულებრივი ქრონიკაო, ხოო-მეთქი, მაგრამ წინასწარ იტყვიან, რომ მოდელირებულია. არაო, ეგ არ თქვათ, მთელ მუღამს დაუკარგავსო", – ამბობს ჩანაწერის მიხედვით არველაძის ხმა.

ჩანაწერის მიხედვით, ეკა წამალაშვილი მიუთითებს, რომ **მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 მუხლის მიხედვით, არ შეიძლება მსგავსი მოქმედება. „გუშინ ვკითხულობდი ქცევის კოდექსს, მეცამეტე მუხლია. საზოგადოებაში პანიკის შექმნა და ესეთი რაღაცები ურტყამს ლიცენზიას. გაფრთხილებ, მაინც სჯობს მივაწეროთ, რომ არის მოდელირება. სადავო არ იქნება, თუ არადა შეიძლება გვიჩივლონ. კოდექსში არის მეცამეტე მუხლი-თქო, პროსტა გიჩივლებენ, გიორგი, ექნებათ სალაპარაკო, „ენ-ჯეოები" და ესეთები რომ არიან ჩასაფრებული, ატეხავენ ერთ ამბავს. ისეთი პონტია, ხალხმა სირბილი არ დაიწყოს აქეთ-იქით. გაქცევა რომ დაიწყონ, ტრასებზე ალიაქოთი რომ ატყდეს. წინასწარაც რომ არ თქვა, მართლა რაღაცა მოხდება. მე დამიჟერენ, შემოვლენ და „ნარუჩნიკებით" გამათრევენ. შეიძლება ვიღაცას გული გაუსკდეს, კაცო! წარმოიდგინე რამდენი უსუსური უყურებს ტელევიზორს, რამდენი ავადმყოფი ან ვიღაცა შიზოიდი, ცუდი ნერვების პატრონი ან მარტოხელა, შეიძლება სტრესებისგან რაღაცები მოხდეს და ამ შემთხვევაში პასუხს ვინ აგებს?! მოგვთხოვენ შენ და მე**", – აცხადებს ეკა წამალაშვილი, რის შემდეგაც არველაძე ეუბნება, რომ არაფერი მიაწეროს.

არველაძის ხმა აქვე ამბობს, რომ გადაცემის სცენართან დაკავშირებით საქმის კურსში არიან ზურა დავითაშვილი და გია ნოდია. **„ზურა დავითაშვილმა და გია ნოდიამ მომწერეს პასუხი, მითხრეს მაგარიაო. გადალებული არ უნახავთ, მე მივწერე ტექსტი და სცენარი. სცენარი „ნიუსის" კი არა, რაც ხდება მოვლენები. მოკლედ, ყველას მოეწონა, ამის შექმნაში მონაწილეობდნენ ექსპერტებიც, მარტო ჩვენი ის არ არის**", – ამბობს არველაძე.

## ◎ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი

# მამუკა არეშიძე:

# ვინც ეს ჩაიდინა, უშუალოდ პრეზიდენტის წინააღმდეგ მოქმედებს

**დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბმა სპეციალური ბრიფინგით მიმართა საზოგადოებას. ექსპერტების აზრით, ტელეიმედის სიუჟეტის მიხედვით, საქართველოს ხელისუფლებამ მოიმოქმედა ის, რისი გაკეთებაც მას 2008 წლის 7 აგვისტოს „დაავიწყდა“. მათ არ გააფრთხილეს საქართველოს მოსახლეობა, რომ ყოველივე, რასაც ისინი ისმენდნენ და უყურებდნენ, იყო არა რეალობა, არამედ, მავანთა არაჯანსაღი ფანტაზიის ნაყოფი.**

ფაქტია, რომ გადაცემამ განზრახ შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება, რამაც ისედაც ღირსებაშელახულ მოსახლეობაზე საშინლად იმოქმედა. დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი აცნობიერებს, უპირველეს ყოვლისა, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეს და შეშფოთებას გამოხატავს იმ უპასუხისმგებლო ქმედებათა გამო, რომელიც მიმართულია პოლიტიკურ პროცესებში სატელევიზიო სივრცის ჩართვისა და ამ გზით საზოგადოების დეზინფორმაციისკენ.



გადაცემის მსვლელობისას სახელმწიფო სისტემებში წარმოქმნილი ქაოსი და მოსახლეობის პანიკური ქმედება გვარწმუნებს, რომ, სამწუხაროდ, ჩვენი სახელმწიფო კვლავ მოუმზადებელია კრიზისული სცენარებისთვის და სათანადო დასკვნებიც აგვისტოს ომის შედეგებიდან ჯერ არ გამოტანილა.

ექსპერტთა კლუბი ფიქრობს, რომ „იმედის“ ეს „პროდუქცია“ აშკარად შეიცავდა გზავნილებს საზოგადოების მიმართ. მას ამ გადაცემის მთავარ მიზნად მიაჩნია: პოლიტიკური ოპოზიციის უპირობო დისკრედიტაცია, არსებული ხელისუფლების უალტერნატივობის წარმოჩენა და მუდმივი საფრთხის არსებობის ფონზე ქვეყანაში დემოკრატიული ცვლილებებისა და დემოკრატიაზე ზრუნვის უსაზრისო გამოცხადება.

ამასთანავე, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი კმაყოფილებით აღნიშნავს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების, მაღალი მოქალაქეობრივი და პროფესიული ღირსების მქონე ჟურნალისტთა და ახალგაზრდობის მიერ აქტიური საპროტესტო მუხტის გამოვლენას საფრთხის შემცველი სახელისუფლებო მედიასიყალბის წინააღმდეგ. სწორედ ასეთი მოქალაქეობრივი პოზიციის ადამიანთა სიმრავლე გვაძლევს იმის იმედს, რომ საქართველოს საზოგადოება არასდროს შეეგუება მის აბუჩად აგდებას, რომელიმე პოლტიკური ძალის მიერ...

13 მარტს „იმედის“ ეთერში გასული მოდელირებული „ქრონიკის“ შემდეგ, ტელეკომპანიის ხელმძღვანელმა გიორგი არველაძემ არაერთი განცხადება გააკეთა მედიის წარმომადგენლებთან. ბოლო დღეებში კიდევ ერთი, თითქოს სიუჟეტის გაგრძელებაა, გიორგი არველაძისა და მისი მოადგილის ეკა წამალაშვილის ფარული სატელეფონო ჩანაწერი გავრცელდა, სადაც ვისმენთ, რომ თითქოსდა მათ ამ ყველაფრის შესახებ იცოდნენ, თუმცა ამტკიცებენ, რომ ეს ჩანაწერი პროვოკაციაა... ამასთან დაკავშირებით აზრი ექსპერტ მამუკა არეშიძეს ვკითხეთ:

**— ბატონო მამუკა, რას ფიქრობთ, საერთოდ მოდელირებულ „ქრონიკაზე“ და გიორგი არველაძისა და ეკა წამალაშვილის სატელეფონო ჩანაწერზე?**

— ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, გადაცემა ტიტრებით გავიდოდა თუ უმისოდ. აქ მთავარია შინაარსი და არა ფორმა. ამ სიუჟეტმა მოახდინა საზოგადოების, ხელისუფლების და არმიის დისკრედიტაცია, რაც ძალიან ცუდია. რაც შეეხება სატელეფონო საუბარს, ეს არის ხელოვნური, აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ჩანაწერი, რომელიც გასულა ეთერში, არის ხელოვნური. (SIC! — ხ. მ.) ამიტომ ვფიქრობ, რომ ხელისუფლება სიმართლეს არ ეუბნება ხალხს.

**— „რუსთავი-2“ ფაქტობრივად სახელისუფლებო არხია. თუ გადაცემა დაგეგმილი იყო ხელისუფლების მიერ, მაშინ სიუჟეტი რატომ გავიდა „იმედზე“ და არა — „რუსთავზე“?**

— კარგი და საინტერესო კითხვაა. „რუსთავი-2“-ს აკონტროლებს ერთი სახელისუფლებო ძალა, „იმედის“ სიუჟეტი პრეზიდენტთან არის დაკავშირებული. ის, ვინც ეს გააკეთა, პირდაპირ პრეზიდენტის წინააღმდეგ მოქმედებს. თუმცა მიკვირს, რომ პრეზიდენტს არ უნდა იმის აღქმა, თუ ვინ ჩაიდინა ეს.

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი ფიქრობს, რომ თუ ხელისუფლება განაგრძობს საკუთარ მოსახლეობაზე საინფორმაციო შტურმის პრინციპით მოქმედებას, ამან უახლოეს ისტორიულ პერსპექტივაში შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს.

**ხატია მუსერიძე**

## ◎ თარიღი

# ქართული ჯარი – პოლიტიკური იარაღი?!

ხმა გავარდა, მუხროვანში სამხედრო ამბოხება იგეგმებაო, რომელიც, რა თქმა უნდა, ოპერატიულად ჩაახშეს და დამნაშავეებიც გამოავლინეს პირადად პრეზიდენტმა სააკაშვილმა და მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა დავით კეზერაშვილმა. მართალი იყო თუ დადგმული ის, რაც მაშინ მუხროვანში მოხდა, დანამდვილებით ვერავინ გეტყვით, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მოდერნიზებული თუ პირიქით, ძლივს შეკოწიწებული არმია, დამარცხებული თუ გამარჯვებული, მაინც ქვეყნის ვაჟკაცობისა და სამშობლოსთვის თავგანწირვის სიმბოლოა, ამიტომ მისი რაღაც ფორმით დაუმსახურებელი შეურაცხყოფა ჯარისკაცს თავმოყვარეობას ულახავს.

ისინიც კი, ვინც აგვისტოს ომის შემდეგ მკაცრად აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას და მიხეილ სააკაშვილს, ხაზგასმით აღნიშნავდნენ ქართული ჯარის ბრძოლისუნარიანობას, ამიტომაა, რომ ყოველთვის პატივით გაიხსენებენ დაღუპულ მეომართა სახელებს, ისინი შორს იდგნენ პოლიტიკისგან, მაგრამ მათ სახელს დროდადრო მაინც უკავშირებენ სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტები.

გუშინდელი დღე კი, ტი ქართული ჯარისთვის საამაყო და, ამავე დროს, ტკივილიანი დღეა. 1993 წლის 16 მარტს აფხაზებთან შეიარაღებული დაპირისპირების პირველ ხანებში, ამ დღეს ყველაზე მასშტაბური შეტევა განხორციელდა სოხუმის მიმართულებით, შეტევა მიმდინარეობდა ზღვის მხრიდანაც. სეპარატისტებისა და რუსების დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ქართველებმა იმარჯვეს და მაშინ ქალაქი აღებისგან იხსნეს. ეს მნიშვნელოვანი დღე აფხაზეთის ომში დაღუპულთა მშობლებმა გაიხსენეს. ისინი გმირთა მოედანზე შეიკრიბნენ და მემორიალი გვირგვინებით შეამკეს. მოგვიანებით მათ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წევრები და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტებიც შეუერთდნენ.

მართალია, ვერავინ იტყვის, რომ „იმედის“ ეთერში გასული მოდელირებული „ქრონიკა“ სპეციალურად დაამთხვიეს ამ თარიღსო, მაგრამ გმირთა მოედანზე შეკრებილი ადამიანების საუბრის თემა, ისევე, როგორც აწ უკვე მთელი მსოფლიოსი, ეს გადაცემა იყო, განსაკუთრებით, ის ნაწილი, როცა თითქოსდა, ქართული ჯარის რამდენიმე ქვედანაყოფი მტრის მხარეს გადავიდა.

დაღუპული ჯარისკაცების მშობლებმა მსგავსი კადრების ჩვენება საკუთარ შეურაცხყოფად მიიღეს. თუმცა რა გასაკვირია, თავად პრეზიდენტიც კი არ ჩანდა ნასიამოვნები, როცა, ნებსით თუ უნებლიეთ, მის ნაფერებ-ნანოლიავებ, პიარის საგნად ქცეულ ჯარს ცოტა არ იყოს არაკორექტულად მოექცნენ.

არავინ იცის, გვექნება თუ არა მსგავს ინციდენტთან საქმე ახალი ომის შემთხვევაში (ღმერთმა დაგვიფაროს ორივე შესაძლებლობისგანძ, მაგრამ თითქოს უნდათ, შეგვაჩვიონ აზრს, რომ ჯარისკაცებიდან



დაწყებული პოლიტიკოსებით დამთავრებული საქართველოს სულ მოღალატეები ახვევიან. ჯარისკაცებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მათ მშობლებს ეჭვიც არ ეპარებათ ბურჯანაძისა და ნოღაიდელის, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილსინდისიერებაში. მათი განწყობა და პოზიცია ჟურნალისტებთან გაკეთებულ კომენტარებსა და პირად საუბრებში ცხადად იგრძნობოდა.

აგვისტოს ომში დაღუპულ მეომართა მშობლები გმირთა მოედანზე მისვლამდე მუხათგვერდის სასაფლაოზეც იმყოფებოდნენ, პატივი მიაგეს თავიანთი შვილების ხსოვნას და რუსეთში მოსიარულე პოლიტიკოსებისადმი სპეციალური მიმართვაც წაიკითხეს — სავსე საყვედურებით, მშობლების ცრემლებით და ტკივილით: „ხელს არ უნდა ართმევდეთ იმ კაცს, რომელმაც ეს ხელები ჩვენი შვილების, ქართველი ვაჟკაცების სისხლში გაისვარა“, — აცხადებენ ისინი.

სამწუხაროდ, მართლაც საამაყო დღე კვლავ პოლიტიკური განცხადებების ტრიბუნად იქცა. ჩვენ უნდა გვესმოდეს შვილმკვდარი დედების, მაგრამ უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ის ჯარისკაცები არც ნოღაიდელისთვის, არც ბურჯანაძისთვის და არც სააკაშვილისთვის არ დაღუპულან, ისინი მოკვდნენ სამშობლოსთვის, რომელიც, საბედნიეროდ, მარტო პოლიტიკოსებს არ ეკუთვნის, არამედ ეკუთვნის ხალხს, და ეს ხალხი საკმაოდ გონიერია შავის თეთრისგან გასარჩევად.

პოლიტიკური განცხადებებით შემოიფარგლნენ აფხაზეთის მთავრობის წევრებიც, ხოლო გმირთა მოედანზე ყველაზე ადრე მისულმა ირაკლი ალასანიამ მხოლოდ 1993 წლის 16 მარტი გაიხსენა. მან აღნიშნა, რომ ეს დღე სოხუმისა და ჩვენი მეომრების თავგანწირვის დღეა. სოზარ სუბარმა კი დასძინა, რომ მათი გმირობა აუცილებლად იმსახურებს აღწერას, წერილობითი სახით შენახვას, რომ მომავალმა თაობებმა იამაყონ ქართველი ჯარისკაცებით.

საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალთან იმყოფებოდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი მეუფე დანიელიც. მან პარაკლისი გადაიხადა, ხოლო ჟურნალისტის კითხვაზე, როგორ შეაფასებდა ზოგიერთი პოლიტიკოსის რუსეთში ვოიაჟს, თავაზიანად უპასუხა, რომ ეკლესიის კომპეტენციაში არ არის მსგავს თემებზე განცხადებების გაკეთებაო. ასე რომ, ჩვენი დედა-ეკლესია, საბედნიეროდ, ერთადერთია, რომელიც ჯერ კიდევ თავს იკავებს პოლიტიკური შეფასებებისგან.

**ანა წიწილაშვილი**

## ◎ მტკვარი ბობოქრობს

# გახსნაც ვერ მოასწრეს, ჩაიძირა

**ძველი თბილისი, მტკვარზე გადმოკიდებული აივნებითა და მტკვარზე ტივებით, მადათოვით, დუქნებითა და სახელოსნოებით, ალბათ ოდითგანვე იყო საშიშროების წინაშე. იმ საშიშროებისა, რომელსაც მოდიდებული მტკვარი ჰქვია. თანამედროვე თბილისმაც ვერ აუარა გვერდი ძველ ტრადიციას, რესტორანომანიას გაჭირვებულ, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ჰოდა, შენდება რესტორნები მტკვრის გაყოლებაზე, ზედ მტკარზე.**

**ამ ბოლო ხანს შემოჩვეულმა სტიქიამ დედა მდინარეც საკმაოდ აადიდა. ცნობილ რესტორან „კრწანისის“ გვერდით, მტკვრის**





ნაპირზე ახლადაშენებული, მეტად ორიგინალური და თანამედროვე დიზაინით აგებული რესტორანი მოვარდნილმა წყალმა მთლიანად დატბორა. ორთაჭალაში მობილიზებულ იყვნენ მაშველები. მეპატრონეებმა (მათ რესტორნის სახელწოდების თქმაზე უარი თქვეს გასაგები მიზეზების გამოძ ობიექტის გახსნაც ვერ მოასწრეს, ისე ჩაყლაპა მტკვარმა ეს კოხტა ნაგებობა. გუშინ მაშველები მთელი დღის განმავლობაში მუშაობდნენ და შენობის ბაგირებით გამაგრება შეძლეს.

**ელგუჯა ნადარეიშვილი**

ავტორის ფოტო.

◉ სამხედრო ექსპერტი



***ტელეკომპანია „იმედის" იმიტირებულმა „ქრონიკამ" 30 წუთით 2008 წლის აგვისტოში დაგვაბრუნა. იმედია, „იმედს" ენა არ უყივლებს და რუსეთი საქართველოს პრობლემის „მოგვარების" მეორე რაუნდს არ დაიწყებს. ასეა თუ ისე, ახალ ქართულ-რუსული ომის საფრთხეზე აქტიურად საუბრობენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტები.***

***ანალოგიური აზრისაა უკრაინელი სამხედრო ექსპერტი და გახმაურებული რუსული წიგნის „აგვისტოს ტანკების" თანაავტორი ვიაჩესლავ ცულეიკო. როგორც ცულეიკომ „მედიანიუსს" განუცხადა, ახალი ომის საფრთხეს ის ზრდის, რომ 2008 წლის აგვისტოს შედეგებით ერთნაირად უკმაყოფილონი არიან თბილისიც და მოსკოვიც.***

# „აგვისტოს ომის შედეგებით არც საქართველოა კმაყოფილი და არც რუსეთი"

**— ახალი ომის საფრთხე საკმაოდ რეალურია, რადგან წინა ომმა საქართველოსა და რუსეთს შორის წინააღმდეგობები ვერ მოაგვარა. რუსეთმა ვერ შეძლო სამხრეთ კავკასიაში თავისი ინტერესების მიმართ ქართული მუქარის ნეიტრალიზება. რა თქმა უნდა, ომის შედეგებით, არც საქართველოა კმაყოფილი.**

— შეგვიძლია დაახლოებით მაინც ვივარაუდოთ, როდის მოხდება მოვლენების ესკალაცია?

— ეს ძალზე რთული საკითხია, რადგან, მაშინ ქართული და რუსული მხარეების გეგმები უნდა ვიცოდეთ. ჩემი აზრით, საკმაოდ სახიფათო იყო 2009 წლის ზაფხული, როდესაც რუსეთს, შესაძლოა, ქართული საკითხის საბოლოოდ მოგვარება ეცადა. თან მაშინ, როდესაც ქართული არმია წინა ომის ჭრილობებს იშუშებდა. თუმცა, როგორც ჩანს, საგარეო ფაქტორებმა და რუსული არმიის რეფორმირების საეჭვო შედეგებმა, რუსეთს საქართველოში შეჭრა გადააფიქრებინა. თუმცა, დროთა განმავლობაში, როდესაც ქართული არმია მომაგრდება, საბრძოლო მოქმედებების დაწყების ინიციატივა, შესაძლოა, ქართული მხრიდანაც წამოვიდეს და რუსეთმა პრევენციული ქმედებები დაიწყოს იმ შემთხვევაში, თუ ძალთა ბალანსი, დინამიკა მის სასარგებლოდ არ იქნება. საბრძოლო მოქმედებების განახლებას საქართველოში არსებული არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციაც უწყობს ხელს.

**— და საიდან უნდა ველოდოთ ძირითად დარტყმას: ახალგორიდან თუ აფხაზეთიდან?**

— თქვენს ჩამონათვალს ცხინვალსაც დავუმატებდი. აფხაზეთის „სასარგებლოდ" მეტყველებს ის, რომ განვითარებულია სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციები. თუმცა, იქ რუსული არმიის დისლოცირების თავისებურებიდან გამომდინარე, აფხაზეთში სწრაფად მხოლოდ მსუბუქი შენაერთების კონცენტრაციაა შესაძლებელი: საჰაერო-სადესანტო ჯარების, საზღვაო ქვეითების და სამთო მსროლელების, რომელთაც შეტევისთვის საჭირო მძიმე შეიარაღება (ტანკები, თვითმავალი საარტილერიო დანადგარები და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებიძ შესაბამისი რაოდენობით არ ექნებათ. აფხაზეთში საერთო საჯარისო ბრიგადების ჩასვლა კი, საქართველოს სამხედრო და საგარეო პოლიტიკური კუთხით მომზადების საშუალებას მისცემს. ამიტომაც, აფხაზური მიმართულება რუსული არმიის გაშლისთვის და არმიის მომარაგებისთვის ყველაზე ხელსაყრელია, მაგრამ ამ მომზადებას დრო სჭირდება და მოულოდნელი თავდასხმისთვის არ გამოდგება.

მეორე მხრივ, რუსებს შეუძლიათ აფხაზეთში მძიმე შეიარაღების საწყობები მოაწყონ და ოპერაციის დაწყებისას, საერთო საჯარისო ბრიგადები რკინიგზით კი არ გადაიყვანონ, არამედ ჰაერით გადაისროლონ. თუმცა, ამას ხელს უშლის რუსულ არმიაში თანამედროვე შეიარაღების დეფიციტი და ჯარის ფარულ გადასროლასთან დაკავშირებული პრობლემები. საერთოდ კი, რუსები, შესაძლოა, მე-7 ბაზაზე კიდევ ერთი ტექნიკის საბრიგადო კომპლექტის შექმნაზე წავიდნენ. თუმცა, ორი მძიმე ბრიგადა დასავლეთ საქართველოში შეჭრისთვის და მისი ოკუპაციისთვის მაინც არ არის საკმარისი. მით უმეტეს მაშინ, თუ ქართული მხარე დასავლეთ საქართველოში შესაბამისი ღონისძიებების კომპლექსს განახორციელებს.

რუსებისთვის ცხინვალიდან შეტევა იმითაა ხელსაყრელი, რომ იქვე, ანუ ჩრდილოეთ ოსეთში, ჩეჩნეთში, დაღესტანში და სტავროპოლის მხარეში რუსული არმიის მსხვილი ძალებია განლაგებული. მაგრამ, პრობლემები აქაც აქვთ. ჯერ ერთი, რუსებს მთელი ამ დაჯგუფების ტრანსკავკასიური მაგისტრალის ვიწრო ყელში გატენვა მოუწევთ. მეორეც, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული არასტაბილური მდგომარეობა, რუსებს არ აძლევს იმის საშუალებას, რომ აამოქმედონ ნაციონალურ რესპუბლიკებში განლაგებული ყველა შენაერთი. ახალგორიდან შეტევა ამ ეტაპზე ყველაზე ნაკლებადაა მოსალოდნელი. ცხინვალსა და ახალგორს შორის ცუდი კომუნიკაციაა. გარდა ამისა, ახალგორში მსხვილი რუსული ძალების დისლოკაციისთვის და სარეზერვო ტექნიკის შენახვისთვის ცუდი პირობებია, ასევე, ახალგორში განლაგებული რუსები ძალიან მისაწვდომი არიან იმისთვის, რომ ეს მიმართულება შეჭრის პრიორიტეტად იქცეს.

ყოველივე ზემოხსენებული რომ განვაზოგადოთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში შეჭრისთვის რუსები აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართულებებს ერთდროულად გამოიყენებენ. თითოეული მათგანის პრიორიტეტს კონკრეტულ დროში უამრავი ფაქტორი განსაზღვრავს. ახალგორის დაჯგუფება კი, მხოლოდ დამხმარე როლს შეასრულებს და ისიც შეზღუდულ ფარგლებში.

**— თუმცა, 2010 წლის ქართული არმიაც, ალბათ განსხვავდება 2008 წლის არმიისგან.**

— ქართული სამხედრო მშენებლობის პროგრესი აშკარაა. პირველ რიგში, ეს სამხედრო სფეროში უფრო რეალისტური პოლიტიკის და რიცხობრივი და ხარისხობრივი ზრდის დამსახურებაა.

**— თქვენი, როგორც სამხედრო ექსპერტის აზრით, ასეთ ვითარებაში რამდენად მიზანშეწონილია სამხედრო-საჰაერო ძალების გაუქმება? (საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა ამ ძალების გაუქმებას ითვალისწინებს — „მედიანიუსი")**

— აქ ორი მომენტია: გრძელვადიანი და მოკლევადიანი. მოკლევადიან პერსპექტივაში, როდესაც საქართველოს ძირითადი მოწინააღმდეგე რუსეთია, რომელსაც ჰაერში ტოტალური უპირატესობა აქვს, ქართული ავიაცია საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობაზე გავლენას ვერ მოახდენს. არ ვგულისხმობ ვერტმფრენებს, რომლებიც ბევრ სახელმწიფოში სახმელეთო ჯარების შემადგენლობაში ისედაც შედიან. სამხედრო-საჰაერო ძალების შენახვა საკმაოდ ძვირი ჯდება. გამონთავისუფლებული თანხები, შესაძლოა, სხვა სამხედრო პროგრამების განვითარებას და შესყიდვებს მოხმარდეს. სახმელეთო ჯარებში კი, შვეულფრენული ავიაციისა და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის (პასიური დამიზნების საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებიძ გაძლიერება სჯობს. საქართველოსთვის განსაკუთრებით მიმზიდველია მსუბუქი ტანკსაწინააღმდეგო შვეულმფრენული ქვედანაყოფის შექმნა, რომელთაც რუსულ ვერტმფრენებთან ბრძოლაც შეეძლებათ. რუსული გეგმების მიხედვით, კავკასიაში მი-28ნ და კა-52 ტიპის ვერტმფრენებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ. გრძელვადიან პერსპექტივაში კი, სამხედრო-საჰაერო ძალების გაუქმება ნეგატიურად აისახება ბრძოლისუნარიანი ავიაციის შექმნის სამომავლო პერსპექტივაზე. ეს ავიაცია რუსეთთან ომისას არ გამოდგება, თუმცა, ეფექტიანი იქნება შიდა და სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან სასაზღვრო კონფლიქტებისას.



◉ განსჯა

# „მოდელირებული ქრონიკით" საზოგადოებას თავი კედელზე მიარტყმევინეს და ნათლად დაანახვეს, რომ ქვეყანას შეშლილები მართავენ



***ტელეკომპანია „იმედზე" ე.წ. მოდელირებული „ქრონიკისა" და „სპეციალური რეპორტაჟის" ერთობლივი გადაცემის ეთერში გასვლის მიზნებსა და ამოცანებზე, რისი თქმა უნდოდა ხელისუფლებას და, რეალურად რა მივიღეთ; საერთოდ, რას შეიძლება ნიშნავდეს ხელისუფლების მონაწილეობით პოლიტიკური შოკისმომგვრელი გადაცემების მომზადება, „ინტერპრესნიუსი" ფილოსოფოსს, კულტურის ანთროპოლოგ ზაზა შათირიშვილს ესაუბრა.***

**— ბატონო ზაზა, ე.წ. მოდელირებულმა „ქრონიკამ" საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. თქვენ როგორ შეაფასებდით მომხდარს?**

— მრჩება შთაბეჭდილება, რომ „სპეციალური რეპორტაჟის" გასვლის შემდეგ საქართველოში რეალურად გაევლო სადემარკაციო ხაზი ორ, ძალიან მარტივ დაპირისპირებულ მოვლენას შორის, ეს არის — შეშლილობა და ნორმალურობა.

რეალურად არის ასეთი ვითარება — ერთ მხარეზე არიან შეშლილები და მეორე მხარეზე — ნორმალურები. ვისაც არ უნდა გაეკეთებინა „სპეციალური რეპორტაჟი" და მის მომზადებაში რა ძალებიც უნდა ყოფილიყვნენ ჩართული, ეს ღრმა შიზოფრენიის ნაყოფია.

**— „სპეცრეპორტაჟის" შეფასებისას პრეზიდენტმა ბრძანა, რომ რეპორტაჟში ასახული ვითარება „მაქსიმალურად ახლოს იყო რეალობასთან". მომხდართან დაკავშირებით ხელისუფლების კომენტარების მოსმენისას დარჩა შთაბეჭდილება, რომ გადაცემა ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე არ მომზადებულა. თქვენი აზრით, რაში დასჭირდა ხელისუფლებას საზოგადოებაზე ერთგვარი ექსპერიმენტის ჩატარება?**

— ძალიან კარგად მესმის კითხვის ლოგიკურობა. თქვენ რაციონალურ და აბსოლუტურად ლეგიტიმურ კითხვას სვამთ, მაგრამ შეიძლება ასეთი კითხვა დავსვათ — რატომ დასჭირდა შიზოფრენიით დაავადებულ ადამიანს ესა თუ ის ბოდვა? შიზოფრენიას ხომ ბოდვითი ბუნება ახასიათებს. ამ შემთხვევაში არ შეიძლება ვიკითხოთ — რატომ ბოდავს შიზოფრენიით დაავადებული ადამიანი...

**— რა ჩანაფიქრიც უნდა ჰქონოდა ხელისუფლებას, ფაქტია, რომ „სპეცრეპორტაჟმა" საზოგადოებაში უკურეაქცია გამოიწვია...**

— ვიმეორებ, „სპეცრეპორტაჟით" სადემარკაციო ხაზი გაივლო არა სიკეთესა და ბოროტებას, პრორუსულსა და პროამერიკულ ან ევროპულ ორიენტაციას შორის, არამედ, საბოლოოდ გამოჩნდა, რომ ქვეყანა შეშლილების ხელშია. საზოგადოებას თავი კედელს მიარტყმევინეს და ნათლად დაანახვეს რომ, ქვეყანას შეშლილები მართავენ. ხელისუფლება შიშველი კი არა — შეშლილია.

**— ამგვარი „რეპორტაჟის" მომზადება და ეთერში გაშვება ხელისუფლების სიძლიერეზე უფრო მიანიშნებს თუ — შიშზე?**

— ეს მიანიშნებს ერთ რამეზე, ეს არის სცენარი, რაც ხელისუფლებას მისთვის საუკეთესო გამოსავლად წარმოუდგენია. რეპორტაჟი ხელისუფლების აპოკალიფსური ბოდვაა, მაგრამ ეს არის ის, რაც მათ უნდათ რომ მოხდეს. ასე ხედავს ხელისუფლება თავისი პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობას. ბოდვა რა არის, ბოდვა ხომ რეალობიდან გაქცევაა.

იხ. 4 გვ.

◎ სასურსათო ბაზარი

# როგორ დავიცვათ მოსახლეობა უვარგისი საკვებისგან?



**საქართველოს პარლამენტში ახლო მომავალში გენური ინჟინერიით გამოყვანილი კვების პროდუქტების ექსპორტის, რეექსპორტის, მისი უვნებლობის, სათანადო მარკირებისა და სხვა საკითხებს განიხილავენ. ამჟამად კი აღნიშნულ საკითხებზე დეპუტატები და სპეციალისტები საკომიტეტო სხდომებზე მსჯელობენ.**

საზოგადოებრიობისთვის უკვე ცნობილია, რომ „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების შედეგად უახლოეს მომავალში კვების პროდუქტებზე კონტროლი საგრძნობლად მკაცრდება, რის შესახებ მოსახლეობის სურსათით უზრუნველმყოფელი ყველა ფირმის თუ ცალკეული საწარმოს ხელმძღვანელი სათანადო ინფორმაციას სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსგან, ასევე ბიზნესმენთა ასოციაციისგან იღებს.

აღნიშნული კანონი, რომელიც საქართველოს პარლამენტის დადგენილებით 2006 წლიდანაა ძალაში, სურსათისა და ცხოველთა საკვების ხარისხისა და უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმს უზრუნველყოფს. აქვე იმასაც გვინდა გავუსვათ ხაზი, რომ ევროკავშირის მოთხოვნით მიღებული „სურსათის უვნებლობისა და ხარსხის შესახებ“ კანონის მთელი რიგი მუხლის მოქმედება შეჩერებულია. კერძოდ, ეს ეხება **საწარმოებში ჰასპის პრინციპების დანერგვასა და სახელმწიფო ორგანოების მიერ მათ ინსპექტირებას, რის მიზეზი როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე კერძო საწარმოთა „მოუმზადებლობა“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბანალური უფულობაა, ვინაიდან ამ საქმეს ერთობ სოლიდური ხარჯი ახლავს.**

უნდა ითქვას, რომ „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის“ კანონის ყველა მუხლი ძალაში წლეულს პირველი იანვრიდან უნდა შესულიყო, რის თაობაზე ექსპერტებს მაინც მიაჩნიათ, რომ **პროცესი ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს:** ჯერ კვების პროდუქტების იმპორტიორებისთვის, შემდეგ **მაღალი რისკის მქონე „შავ სიაში“ მოხვედრილი კომპანიებისთვის, მერე კი ყველა დანარჩენისთვის.** საამისოდ კი, ამ პროფილის ყველა საწარმომ აუცილებლად უნდა გაიაროს რეგისტრაცია სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურში.

გავრცელებული ინფორმაციით, **კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სიახლე ქვეყანაში ხორცისა და თევზის პროდუქტების, ასევე პურისა და პურპროდუქტების, კვების სხვა პროდუქტების მწარმოებელ ყველა მსხვილ თუ წვრილ საწარმოს შეეხება.** გარდა ამისა, შესაბამისი კონტროლი დაწესდება საზოგადოებრივი კვების ობიექტებზეც – კაფეებზე, რესტორნებზე, სწრაფი კვების ობიექტებზე, რომელთა მეპატრონეებს სათანადო ზედამხედველობის სამსახურის მუშაკების მიერ აღმოჩენილი უმნიშვნელო დარღვევის შემთხვევაშიც კი საგანგებო სანქციები დაუწესდებათ, ხოლო მომავალი წლიდან სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს საზედამხედველო ორგანო მკაცრ კონტროლს ბაზრებსა და ბაზრობების დახლებზე გასაყიდად გამოტანილი კვების ყველა პროდუქტზე დააწესებს.

ამასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში მიაჩნიათ, რომ ამ მიმართულებით მუშაობის პრიორიტეტია უხარისხო სურსათის მიწოდებისგან მომხმარებლის დაცვა, რომლის პირველი ეტაპი **კვების პროდუქტების მწარმოებელი საწარმოების შესაბამისი რეგისტრირება, მეორე კი სურსათის უშუალოდ გასაღების ადგილებში ინსპექტირება იქნება. სპეციალისტები ასევე ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი პროდუქცია ხარისხით ბევრად ჩამორჩება იმპორტულს, თუმცა აგრეთვე ხშირია შემთხვევები, როცა საქართველოში დაბალი ხარისხის, ანდა, სულაც, უვარგისი, მოხმარების ვადაგასული ან მავნე მინარევების შემცველი კვების პროდუქტი შემოაქვთ.**

„სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ კანონის ძალაში შესვლიდან მოყოლებული, სარეალიზაციო ქსელში სასურსათო პროდუქტების მონიტორინგი განხორციელდება მათი ნიმუშების საკონტროლო შესყიდვებით და შემდგომ ლაბორატორიულ გამოკვლევით. მაგალითისთვის ვიტყვით, რომ ამ მიზნით შარშან ბიუჯეტიდან 650 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, რომელიც დაახლოებით 1500 სხვადასხვა დასახელების სასურსათო პროდუქტის საკონტროლო შესყიდვასა და ლაბორატორიულ გამოკვლევას მოხმარდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ **სურსათის უვნებლობის მართვის თანამედროვე სისტემების შემოღება, კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაზრდის, უცხოურ ბაზრებზე შეღწევისა და, რაც მთავარია, ადგილის მტკიცედ დამკვიდრების საშუალებას მისცემს.**

არსებული ინფორმაციით, **საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტზე ორიენტირებულ კვების პროდუქტების მწარმოებელ საწარმოთა შემოწმება 2011 წლის დამლევამდე, ხოლო მაღალი რისკის მქონე სურსათის მწარმოებელთა (გარდა ცხოველთა საკვებისა) – 2013 წლის დამლევამდე დაიწყება. კვების პროდუქტების გამომშვებ დანარჩენ საწარმოებში კონტროლი 2015 წლის დასრულებამდე, ხოლო ცხოველთა საკვების მწარმოებელი ფირმების საწარმოების შემოწმება 2017 წლიდან დაიწყება. თუმცა ერთი კია: ვიდრე ეს საკმაოდ პროლონგირებული პროცესი დაიწყება, სურსათის უვნებლობის სამსახური უფლებამოსილია სასურსათო პროდუქცია უშუალოდ მაღაზიების, ბაზრებისა და ა.შ. დახლებზე შეამოწმოს.**

ბოლო გამოკვლევებით, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC)-მ, რომელმაც საქართველოს მთავრობას სასურსათო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებასა და მათ ცხოვრებაში გატარებაში მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოუჩინა, ქვეყანაში როგორც სურსათის მწარმოებელი, ასევე კვების პროდუქტების იმპორტიორი კომპანიების აბსოლუტურმა უმრავლესობამ, სურსათის უვნებლობის მხრივ საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად ერთობ სერიოზულ დახმარებას საჭიროებს.

ასევე აღსანიშნავია, რომ IFC-ს მიერ ჩატარებული კვების პროდუქტების წარმოება-გასაღების სექტორის გამოკვლევა მიზნად ისახავს ქვეყნის მთავრობის ხელშეწყობას დასახული რეფორმების გატარებაში, რაც, როგორც წელან აღვნიშნეთ, საერთაშორისო ბაზარზე მათ კონკურენტუნარიანობას გაზრდის.

კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი გარემოება ის არის, რომ გასატარებელმა ღონისძიებებმა, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, არავითარ შემთხვევაში ზეგავლენა არ უნდა იქონიონ კვების პროდუქტების ისედაც მეტად გაზრდილ ფასებზე. ამაზე თქვენი ყურადღების გამახვილება იმიტომ გვინდა, პატივცემულო მკითხველო, რომ, ჯერ ერთი ჩვენში ისინი ისედაც დღითიდღე, სრულიად გაურკვეველი მიზეზებით იზრდება, მეორე საგულისხმო გარემოება კი ის არის, რომ ცოტა ხნის წინათ **ევროკავშირმა კვების პროდუქტებზე ფასების რეგულირების თაობაზე დადგენილება მიიღო.**

– ახლა ჩვენთვის მთავარია არ დავუშვათ სურსათის სწრაფი გაძვირება, რაც საერთო ეკონომიკური ზრდის პირობებში მათზე მოთხოვნის მატებით იქნება გამოწვეული, – ნათქვამია დადგენილებაში და ამ აზრს ექსპერტები სავსებით ეთანხმებიან. აქვე იმასაც გვინდა გავუსვათ ხაზი, რომ **ევროპელები მკაცრად აკონტროლებენ სურსათის ფასებს, არეგულირებენ გადასახადებს, აკვირდებიან დანამატებს საბითუმო ვაჭრობის დროს, თავიდან იცილებენ შუამავლებსა და ა.შ.**

ჩვენში კი, ყოველ შემთხვევაში დღემდე, ასე იყო, მხოლოდ სურსათზე ფასების დროებით შეზღუდვა ანუ „გაყინვა“ თუ იციან, რაც დეფიციტის წარმოშობას უწყობს ხელს, ხოლო ამის მომდევნო „დათბობას“ სურსათის ფასების მრავალჯერადი მომატება მოჰყვება ხოლმე, რაც მომავალში აუცილებლად უნდა ავიცილოთ თავიდან.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ განსჯა

# „მოდელირებული ქრონიკით“ საზოგადოებას თავი კედელზე მიარტყმევინეს და ნათლად დაანახვეს, რომ ქვეყანას შეშლილები მართავენ

**(მესამე გვერდიდან)**

**– რუსეთის თემა ქართულ პოლიტიკაში ყოველთვის აქტუალური იყო, მაგრამ ოპოზიციის ლიდერთა მოსკოვურმა ვიზიტებმა რამდენად შეუწყო ხელი „სპეციალური რეპორტაჟის შექმნას“?**

– თქვენ რაციონალურ კითხვებს კი სვამთ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში მივყვებით ბოდვის ლოგიკას – თქვენ, მე და საზოგადოება იძულებული ვართ, გვქონდეს რეაქცია ამ შემთხვევაში ხელისუფლების – პაციენტის ბოდვაზე. ჩვენ, ნებსით თუ უნებლიეთ, პაციენტის ბოდვის ტყვეობაში ვიმყოფებით. ასეთ კითხვებზე პასუხი არ არსებობს, ეს ისეთივე შემთხვევაა, როცა პაციენტი აცხადებს, რომ დედამისს მისი მოკვლა უნდა, თქვენ კი ცდილობთ მის დარწმუნებას, რომ ეს ასე არ არის.

**– ვითარებაში, როცა პუტინი სსრკ-ს დაშლას მსოფლიო კატასტროფად აფასებს, დასავლეთს ღიად მიანიშნებს, რომ რუსეთმა პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენა უნდა აღადგინოს, რამდენად სასარგებლო შეიძლება იყოს ქართული სახელმწიფოსთვის ქართული ოპოზიციის ლიდერთა პუტინთან შეხვედრები?**

– ისე ნუ წარმოიდგენთ, რომ შიზოფრენიით დაავადებულ ადამიანს რეალობის აღქმის ელემენტები არა აქვს. მაგრამ ბოდვის დროს, როგორც სიზმარში რეალობიდან აღებული ელემენტები და ბოდვის ლოგიკა ისეა ერთმანეთში არეული, რომ რაციონალურისა და ირაციონალურის განსხვავება ძალიან ძნელია. როდესაც ამ კითხვებზე პასუხების მოძებნას ვცდილობთ, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ ბოდვის გავლენის ქვეშ ვექცევით. ამ კითხვებზე პასუხები არ არსებობს. რუსეთი, სომხეთი, ამერიკა, აზერბაიჯანი პოლიტიკის სუბიექტები არიან, მათ ჩვენდამი გარკვეული ინტერესები აქვთ და ამაზე კვალიფიციური მსჯელობა შესაძლებელია, მაგრამ – არა ამ ბოდვასთან მიმართებაში.

**– ოპოზიციის ლიდერების მოსკოვურ ვოიაჟებს როგორ შეაფასებდით?**

– რეალურად რომ შევხედოთ სიტუაციას, საქართველო, როგორც ქვეყანა და პოლიტიკური სუბიექტი, აღარ არსებობს. ახლა ხდება ის, რომ ერთ დროს ყოფილი პოლიტიკოსები ხელების ცეცებით მოძრაობენ. კავკასიაში ორი მოქმედი პოლიტიკური სუბიექტი დარჩა, რომლებსაც გარკვეული პოლიტიკის გატარება შეუძლიათ, ეს აზერბაიჯანი და სომხეთია. საქართველოს სახით ჩვენ გვაქვს რაღაც ტერიტორია, რომლის მცხოვრებლები რაღაცის გაკეთებას ცდილობენ. იმ სიტუაციაში, რომელშიც ვიმყოფებით, საუბარი, სწორად მოქმედებენ თუ არა ისინი, განსაკუთრებით ბოლო ორი წელია, შეუძლებელია. ჩვენ იმ მდგომარეობასა და პროცესში ვართ, როცა ფიზიოლოგები ამბობენ – ადამიანი გარდაიცვალა, მაგრამ ტვინი მუშაობს. ჩვენ გარდაცვლილი ტვინის მუშაობას სიცოცხლედ აღვიქვამთ.

**– ბევრისგან განსხვავებით ნოღაიდელისა და ბურჯანაძის რუსეთში ვიზიტებს ერთმნიშვნელოვნად უარყოფით კონტექსტში არ განიხილავთ?**

– ოპოზიციის ლიდერთა რუსეთში ვიზიტებს სიკვდილის შემდეგ სიცოცხლედ განვიხილავ. სხვათა შორის, ასეთივე რეჟიმში მოქმედებს ხელისუფლებაც.

**– კარგით, მაშინ კითხვას ასე დავსვამ – თქვენი შეფასებით, მოსკოვში, პუტინის კარზე მოსიარულე პოლიტიკოსებს ქვეყნის გადარჩენის ბედი უფრო აწუხებთ თუ თავისი პოლიტიკური სტატუსი?**

– ეს ის შემთხვევაა, როცა ყველა თავისუფალია, თუ როგორ შეაფასებს ამ პროცესს. ბევრად უფრო ფუნდამენტური მომენტია ის, რომ ჩვენმა ქვეყანამ რაღაც ფორმით დაასრულა თავისი არსებობა. მან, შესაძლოა, სხვა ფორმით გააგრძელოს არსებობა, მაგრამ რა ფორმით და როგორ? საკითხავი აი, ეს არის.

დღევანდელი ვითარებით, საქართველო, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, არ არსებობს. შეიძლება, საქართველო როგორღაც გახდეს პოლიტიკური სუბიექტი. როცა ხელისუფლება კარგავს ფუნქციას, გარკვეული აზრით ფუნქციას კარგავს ოპოზიციაც. შესაძლებელია, აქედან რაღაც დალაგდეს, მაგრამ ამისათვის რა არის საჭირო, მართალი გითხრათ, მე არ ვიცი.

**კობა ბენდელიანი**

◉ პრობლემა

***საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში რეფორმების გატარება პერიოდულად საჭიროცაა და აუცილებელიც, მაგრამ, თუ ეს რეფორმა პროგრესის ნაცვლად რეგრესს იწვევს, მაშინ დროულადაა განგაში ასატეხი, სანამ გვიან იქნება თითზე კბენანი.***

***მოვა დრო და უვიცებსა და იდიოტებს კი არა, დაუნებს უწოდებენ იმ ადამიანებს, ვინც ე.წ. რეფორმები გაატარა მეცნიერებაში და იმ ადამიანებსაც, ვისაც შეეძლო ხმის ამოღება, მაგრამ შორიდან უცქეროდა, თუ როგორ მიექანებოდა უფსკრულისაკენ ქართული მეცნიერება და ხელი არ გაანძრია მის გადასარჩენად.***

***ამიტომ, სანამ ურემი საბოლოოდ უსაშველოდ არ გადაბრუნდება, კარგი იქნება, თუ ვისი მოვალეობაცაა დროზე მიხედავს უკვე გაქრობის გზაზე დამდგარ ქართულ მეცნიერებას და ამერიკის ახალი პრეზიდენტის ობამას მსგავსად, ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადებს მეცნიერების დაფინანსებას, თუ არა და...***

***ჯერ კი ჩვენში ამ მიმართულებით ფარსი თამაშდება.***

# ეროვნული მეცნიერების დასაფლავების ფონდი

განათლების რეფორმის „გენიალურმა მამებმა“ მეცნიერების თითქოს გადასარჩენად და განსავითარებლად განათლების სამინისტროსთან შექმნეს ე.წ. „საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი“, რომელიც განხორციელებული მუშაობის გამო ქართული მეცნიერების დასაფლავებას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე მის წინსვლა-განვითარებას.

სხვათა შორის, ამ ფონდის კურიოზული მუშაობის შესახებ რამდენიმეჯერ წერდა ჩვენი პრესა, მაგრამ, სამწუხაროდ ყველაფერი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და ... უგზო ქარავანი კი მიდის.

ეს ფონდი მილიონებს ხარჯავს მეცნიერების დასაჩმორებლად (ბოდიშს ვიხდი ჟარგონისათვის) და დასაკნინებლად, რასაც მოწმობს ერთი მხრივ, მის მიერ დაფინანსებული ბევრი უმნიშვნელო, ან დიდი ხნის წინათ შესრულებული თემა და მეორე მხრივ, მიღებული შედეგებით დაუინტერესებლობა.

ვინც ყურადღებით გულშემატკივრის პოზიციიდან, შეისწავლის ფონდში შესულ და მათ შორის დაფინანსებულ პროექტებს, მისთვის საცნაური გახდება, რომ ფონდის მუშაობა არაეფექტურია და მილიონები უმიზნოდ იხარჯება, ამასთან ერთად, კორუფციული კარუსელი და ჩაწყობაც არ უნდა მუშაობდეს ცუდად.

ამის დასტურად მხოლოდ რამოდენიმე ფაქტს მოვიყვან:

1) მეცნიერებაში მომუშავე ყველა ნორმალური ადამიანისთვის ცხადია, რომ ერთნახევარი, ან ორი წლის განმავლობაში რაიმე სერიოზული სამეცნიერო პრობლემის გადაწყვეტა ფიქციაა და ასეულობით ათასი ლარი კი წყალში გადაყრილი.

2) დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ფონდში შესული პროექტების დიდი ნაწილი ან უკვე დაცული დისერტაციების, ან უკვე დამუშავებული საბიუჯეტო თემების განმეორებაა ცოტა სხვა სახით.

3) ფონდში კორუფციული კარუსელის არსებობას მოწმობს ის გარემოებაც, როცა თითქმის ყოველ წელს ერთსა და იმავე პიროვნებას საეჭვოდ ამარჯვებინებენ, ზოგჯერ ისე, რომ მისი სამეცნიერო კვალიფიკაცია არ შეესაბამება შეთავაზებულ პროექტებს.

4) ფონდის სამეცნიერო დონესა და იქ მიმდინარე საეჭვო პროცესებზე ადვილად დარწმუნდება ადამიანი, თუ თვალს გადაავლებს, მაგალითად „აგრარულ მეცნიერებათა“ სექტორში 2010 წელს დაფინანსებულ თემებს, რომელთაგან ზოგიერთი ოდიოზურის ეპითეტს იმსახურებს. უეჭველია, ამ მხრივ არც სხვა მიმართულებანია გამონაკლისი.

ზემოთ აღნიშნულისა და სხვა ფაქტების შესახებ მივმართეთ განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ბატონ დიმიტრი შაშკინს, რომელმაც ჩვენი მიმართვა ფონდში „აგრარული მეცნიერების“ კურატორებს გადაუგზავნა, რადგან მოყვანილი ფაქტები ამ მიმართულების მეცნიერებას ეკუთვნოდა.

თუმცა, ფონდის „აგრარულ მეცნიერებათა“ კურატორთან ბატონ რევაზ ასათიანთან შეხვედრამ კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ ეს ფონდი ნამდვილად უწყობს ხელს ქართული მეცნიერების დასაფლავებას.

როგორც ბატონმა კურატორმა ბრძანა, აღმოჩნდა, რომ არც „აგრარულ მეცნიერებათა“ სექტორსა და არც სხვა მიმართულებებში არა ჰყავთ სპეციალისტები, ან არა აქვთ კომისიები, რომელნიც წინასწარ შეამოწმებენ შემოსული პროექტების ვარგისობას, რაც გზას უხსნის ფონდის ჩინოვნიკებსა და მათ მიერ შერჩეულ რეცენზენტებს სასურველი თემების დაფინანსებისაკენ.

მაგალითისთვის, ვინმე მარიფათიანმა რომ ფონდში ასეთი პროექტი შეიტანოს – ახალი კონტინენტი ამერიკა აღმოვაჩინე და დამიფინანსეთო – აქ არავინ დაინტერესდება, ამერიკა აღმოჩენილია თუ არა და „მარიფათიანი“ ადამიანი „შენცა ჭამე – მეც მაჭამეს“ პრინციპით ასეთი რამის დაფინანსებას მიაღწევს...

ამიტომ იყო, რომ შეკითხვაზე – თუ რატომ დააფინანსა ფონდმა ზედიზედ ორი თუ სამი პროექტი ამრიკული თეთრი პეპლის შესახებ (მცენარეთა დაცვა), აკადემიკოსმა კურატორმა ასეთი პასუხი გასცა – ხომ შეიძლება პეპელა რაღაცით შეიცვალაო (!), მაგრამ როდესაც განვუმარტეთ, რომ ეს პეპელა ყველანაირადაა შესწავლილი ამერიკაშიც, ევროპაშიც და ყოფილ სსრკ-შიც, მან ვერაფერი გვიპასუხა.

ასევე ვერაფერი გვიპასუხა იმ ფაქტზე, რომ 2008 წელს ფონდმა დააფინანსა პროექტი, რომელი საკითხის შესახებაც არსებობს ამ სტრიქონების ავტორის (და არა მარტო მისი) რამდენიმე ანგარიში, მეთოდური მითითებანი და რეკომენდაციები, რომლითაც სარგებლობს სათანადო უწყება.

ფონდს რომ პროექტებისაგან მიღებული შედეგები არ აინტერესებს, მოვიყვანთ ასეთ ფაქტს – ფონდმა 2006 წელს, ასევე მცენარეთა დაცვაში დააფინანსა თემა, რომლის წარდგინებაში ეწერა, რომ ეს საკითხი საქართველოში პირველად მუშავდებაო. მაშინ, როდესაც ეს საკითხი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში დაამუშავეს საკმაოდ სოლიდურმა მეცნიერებმა. შეკითხვაზე, თუ რატომ არაა ამ



პროექტის მიხედვით რაიმე რეკომენდაციები ან მეთოდური მითითებანი, ბატონმა კურატორმა თავი იმართლა – სამაგიეროდ 3 წელიწადში 15 სამეცნიერო სტატიაა გამოქვეყნებულიო. როგორც იტყვიან, აქ კომენტარი ზედმეტია, მაგრამ ამისი დატოვება უკომენტაროდ მაინც არ შეიძლება. სამ წელიწადში 15 სტატიის გამოქვეყნება ხომ ფიქციაა, თუმცა ასეთ რამეს ფონდის აბსურდული წესდება მოითხოვს, რაც გზას უხსნის მეცნიერებაში ურცხვ სიყალბეს; სამწუხაროდ, ყოვლისშემძლე კომპიუტერი თავისით არ წითლდება.

სამართლიანად წერდა ამ ცოტა ხნის წინათ ჟურნალი „გუმბათი“ – საქართველოში კომპიუტერით მიმდინარეობს ინტელექტუალური საკუთრების მასობრივი ქურდობა-მიტაცებაო.

„საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი“ კი თავისი წესდებით და მოთხოვნილებებით პირდაპირ უწყობს ხელს და აქეზებს ასეთ რამეს.

ბატონ მინისტრსა და ბატონ კურატორს შევთავაზეთ კიდევ ერთი დამახასიათებელი ფაქტი ფონდის მუშაობის პრაქტიკიდან, რომელსაც სწორედ ჩაწყობისა და კორუფციის სუნი ასდის.

2009 წელს ფონდში შევიდა ორი პარალელური პროექტი (იხ. „აგრარული მეცნიერებანი“ №6 და №105).

№6 – „საქართველოს ტყის მწერებზე მონაცემთა ბაზის შექმნა“ – დაფინანსებულია (მიაღებინეს 94.5 ქულა);

№105 - „სამცხე-ჯავახეთის ტყეების პათოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგი და მავნე მწერებისაგან დაცვის ახალი სისტემა – დაუფინანსებელია (74.5 ქულა).

სხვადასხვა წყაროებიდან წინასწარ იყო ცნობილი, რომ დაფინანსდებოდა პირველი პროექტი, მაგრამ აქ თავიდანვე მოხდა გაუთვალისწინებელი რამ – 13 ოქტომბერს მოდის რეცენზია მეორე პროექტზე, რომელიც შეფასებულია 95 ქულად, რასაც უეჭველია არ ელოდნენ ფონდის დაინტერესებული ჩინოვნიკები, რაც დაადასტურა საქმის შემდგომმა მსვლელობამ. შემდეგში, ერთსა და იმავე დროს 26 ნოემბერს მოდის რეცენზიები ორთავე პროექტზე, სადაც პირველს მიღებული აქვს 70, მეორეს 68 ქულა. ამასთან ერთად, პირველი პროექტის პირველი რეცენზენტი მიუთითებს ისეთ მიუტევებელ ნაკლოვანებებზე, რომელზედაც შემდეგ თვალს ხუჭავენ მომდევნო რეცენზენტები.

ეს ნაკლოვანებებია: 1) ბიუჯეტი შედგენილია 2009-2011 წლებისათვის და 2) პროექტის ხელმძღვანელის არაკომპეტენტურობა.

მეორე პროექტის რეცენზია დათარიღებულია 26 დეკემბრით და მიღებული აქვს 81 ქულა. საყურადღებოა, რომ პირველი პროექტის მომდევნო ორი რეცენზია დათარიღებულია 24 დეკემბრით და 2010 წლის 7 იანვრით (!). შეფასებები შესაბამისად 98 და 91. რეცენზიების თარიღები ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს, მაგრამ მთავარი კურიოზი ისაა, რომ პროექტების საშუალო შეფასების გამოყვანისას პირველი პროექტის შეფასებებს მოაცილეს დაბალი შეფასება, მეორისას კი მაღალი და ასე ვირტუოზულად გამოიყვანეს სასურველი საშუალო შეფასება. აქ კი კომენტარი მართლაც ზედმეტზე ზედმეტია, რადგან იგი ღაღადებს ფონდში გამეფებული მუშაობის სტილზე.

ფონდის მუშაობის სტილისა და იქ გამეფებული ატმოსფეროს შესაფასებლად საბოლოოდ მოგვყავს ბატონი კურატორის პასუხი ჩვენს შეკითხვაზე – თუ რატომ ვერ შეამჩნია მომდევნო ორმა რეცენზენტმა პირველი პროექტის ბიუჯეტში არსებული გადაცდომა (ასე რბილად ვუწოდოთ მას) – მან უპასუხა – „ეს მხოლოდ პროექტის ინგლისურ ვარიანტში იყო 2009 წელი, ქართულში კი გასწორდაო“. რისი უფლებაც ფონდს არ ჰქონდა. ამით კი ყველაფერი იყო ნათქვამი.

ჩვენი ამ ვრცელი პუბლიკაციის მიზანი ისაა, რომ ერთხელ კიდევ ვაჩვენოთ ამ ფონდის არსებობის უაზრობა და უსარგებლობა მეცნიერებისათვის და მიუთითოთ იმაზე, რომ უფრო სასარგებლო და მნიშვნელოვანი იქნებოდა აქ წყალში გადაყრილი მილიონები გადაგვენაწილებინა სამეცნიერო ინსტიტუტებისათვის და გადაგვერჩინა ისინი დაშლისაგან, რადგან საბიუჯეტო თემების შესრულებით ათჯერ მეტი საქმე კეთდებოდა და კეთდება, ვიდრე ამ ჩაწყობილი 2-3-წლიანი გრანტ-პროექტებით.


**ბიძინა თავაძე,**

**საქართველოს ბუნებისა და ისტორიულ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია „ფესვების“ ხელმძღვანელი, მეცნიერების აკადემიური დოქტორი, პროფესორი.**


◉ სამეგრელო

# იელოვას მოწმენი 500 ლარით დაჯარიმდნენ

***ნახევარ წელზე მეტია ზუგდიდში „ინგურქაღალდკომბინატის“ დასახლებაში გრძელდება დაპირისპირება ადგილობრივ მოსახლეობასა და იელოველებს შორის. იელოველებმა შეისყიდეს ერთ-ერთი მოსახლის კარმიდამო და იქ თავიანთი სასახლის მშენებლობა დაიწყეს, რამაც აღაშფოთა ადგილობრივი მცხოვრებნი. იყო ლანძღვა-გინება, ცემა-ტყეპა. მოსახლეობა აცხადებს, რომ არავითარ შემთხვევაში უფლებას არ მისცემენ იელოველებს, თამარ მეფის ქუჩაზე, დავით აღმაშენებლის სახელობის მშენებარე ეკლესიის გვერდით იბოგინონ. შეგროვდა 1000-მდე ადამიანის ხელმოწერა, რომლებმაც მიმართეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას, შეემოწმებინათ მშენებლობის კანონიერება.***

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის თანამშრომლების მიერ შემოწმდა იელოველთა მშენებარე ობიექტი. ამ სამსახურის უფროსის დავით ესებუას განმარტებით, მშენებლობის პროექტში ნაჩვენები არ არის შესაბამისი ტექნიკური პირობები „ენერგოპროჯორჯიიდან“, წყალკანალიდან და მაღალი ძაბვის სამმართველოდან. პროექტში აღინიშნებოდა სხვა დარღვევებიც. ამიტომ მშენებლობის შეჩერების მიწერილობა წარედგინა სამუშაოთა მწარმოებლებს, რომლის თანახმადაც დარღვევების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში ისინი დაჯარიმდებოდნენ 500 ლარით.

ამ დღეებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში შედგა არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები და იელოვას მიმდევრები ადვოკატებთან ერთად. სამსახურის უფროსმა დავით ესებუამ დამსწრეთ განუმარტა, რომ დადგენილ ვადებში არ იქნა აღმოფხვრილი სერიოზული დარღვევები, რის გამოც სამუშაოთა მწარმოებლები დაჯარიმდნენ 500 ლარით.

ამას არ დაეთანხმნენ იელოველები და განაცხადეს, რომ სარჩელს შეიტანენ სასამართლოში.

მშენებლობა შეჩერებულია მხოლოდ ტექნიკური პირობების შეუსრულებლობის გამო. რაც შეეხება მორალურ-ზნეობრივ მხარეს, ამის შესახებ კანონში არაფერია გათვალისწინებული.


**ლადო ქირია,**

ზუგდიდი


◉ ინფორმაცია

## სეპარატისტები ელექტროენერგიის გარეშე დარჩნენ

**ე.წ. სამხრეთ ოსეთი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, ელექტროენერგიის გათიშვის მიზეზი მთებში ელექტროგადამცემი ხაზის დაზიანება გახდა.**

**– როკის გვირაბის მიდამოებში, ძომაგის დასახლებული პუნქტის სიახლოვეს ზვავი ჩამოწვა, რის შედეგად ელექტროგადამცემი ხაზი ჩამოწყდა და ღამის პირველი საათიდან სამხრეთ ოსეთი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა, – აცხადებს „ენერგორესურს-სამხრეთ ოსეთის“ გენერალური დირექტორი ვადიმ გაბარაევი.**

**მისივე თქმით, ენერგეტიკოსებმა ავარიის ადგილს ვერ მიაკვლიეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

ყველას თავისი აზრი აქვს

# საქართველოს მოქალაქე და ქართველი სხვადასხვა ცნებებია

**ბაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№5, №6. .2010წ.) გამოქვეყნდა ბელგიის მოქალაქის ომარ ხახაშვილის წერილი „მიზეზი და შედეგი: სად იღებს სათავეს კატასტროფა?“**

რამდენად სწორია ბატონ ომარ ხახაშვილის შეხედულება საქართველოში მიმდინარე პროცესებზე და მის მიერ შემოთავაზებული წინადადებები, ეს კომპეტენტური ხალხის გადასაწყვეტია, მაგრამ ჩემი შეშფოთება გამოიწვია მისმა ზოგიერთმა მოსაზრებამ:

**„ლოგიკური ჩანს, რომ საქართველოს მოქალაქე ოსები, აფხაზები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა ეთნოსები, რომლებსაც საკუთარი ენები და სარწმუნოებები აქვთ, ქართველებად არ ჩაითვლებიან, მაგრამ რა ვუყოთ მეგრელებს, სვანებს, წოვა თუშებს, რომლებსაც თავიანთი ენები აქვთ, ან აჭარლებს, რომელთა ნაწილი მუსულმანები არიან.“**

ამისთანა რამ შეიძლება დაეწერა კაცს, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს საქართველოზე, ქართველ ხალხზე, საქართველოს ისტორიაზე, მაგრამ ბატონ ომარის დონის პიროვნებისგან ამას ნამდვილად არ მოველოდი.

ჯერ ერთი, როგორ შეიძლება ქართველმა კაცმა სომხებთან, ოსებთან და აზერბაიჯანელებთან ახსენოს აფხაზები – ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ამას დღევანდელი აფხაზი მეცნიერი წერდეს.

ეტყობა, ბატონი ომარი ძირითადად ბელგიაშია და არ იცნობს მასალებს აფხაზეთზე, არა აქვს რეალური წარმოდგენა აფხაზებზე, აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე.

ისტორიული აფხაზები ქართველები იყვნენ, მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლები, ისევე, როგორც ლაზები და ჭანები.

ერთიან ეგრისის სამეფოს სინამდვილეში აფხაზები წარმოჩინდნენ I-II საუკუნეებში, სწორედ ამ ეპოქიდან აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელებს დაერქვათ აფხაზები. ბუნებრივია, აფხაზების მშობლიური ენა იყო მეგრული და ისინი I-II საუკუნეებიდან ქრისტიანები იყვნენ.

უფრო მეტი, თანამედროვე აფხაზებიც ეთნიკურად ძირითადად ქართველები არიან.

მართალია, მათში უმნიშვნელო რაოდენობით (დაახ. 8-10 %ძ ურევია ჩრდილო კავკასიელები, მაგრამ ეს ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს აფხაზების ეთნოსზე.

ამდენად, აფხაზები, ფაქტობრივად ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც კახელები, იმერლები, გურულები, აჭარლები და ა. შ., მაგრამ სამწუხაროდ, ისტორიული გაუგებრობის შედეგად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა აფხაზების ქართველობა, რასაც მივიჩნევ ქართველი პოლიტიკოსებისა და მეცნიერების მიერ დაშვებულ ეროვნული მნიშვნელობის უმძიმეს შეცდომად.

მეორეც, უფრო გამაოგნა ბატონ ომარ ხახაშვილის კითხვამ – **„მაგრამ რა ვუყოთ მეგრელებს, სვანებს, წოვა თუშებს, რომელთაც თავიანთი ენები აქვთ, ან აჭარლებს, რომელთა ნაწილიც მუსულმანები არიან“.**

მას ეს კითხვა თურმე გაუჩინა იმ გარემოებამ, რომ საქართველოში მცხოვრები სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, აფხაზები და სხვა ეთნოსები, რომლებსაც საკუთარი ენები და სარწმუნოებები აქვთ, ქართველებად არ მიაჩნიათ.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ბატონ ომარს მეგრული და სვანური ენები ქართული ენისგან ისეთივე განსხვავებული ენები ჰგონია, როგორც სომხური, აზერბაიჯანული და ოსური ენები, ხოლო რადგანაც ის არ ცნობს ქართულ ეთნოსს და მხოლოდ ქართლელი მიაჩნია ეთნოსად, ეტყობა მეგრელი და სვანიც სხვადასხვა ეთნოსების წარმომადგენლები ჰგონია.

დამეთანხმებით, ალბათ, რომ ეს არავის არ ეპატიება.

არა და, მან უნდა იცოდეს რომ მეგრელები და სვანები ქართული ეთნოსის, ქართული ენის, ქრისტიანული სარწმუნოების მქონე ჭეშმარიტი ქართველები არიან, ხოლო მეგრული და სვანური ენები უძველესი ქართველური ენებია.

დადგენილია, რომ ჩვენს ერთიან ქვეყანას სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახელი ერქვა - „იბერია“ (ძვ.წ. V-III ათასწლეულებიძ „კოლხეთი“ (ძვ.წ. XX-VII საუკუნეებიძ, „ეგრისი“ (ძვ.წ. VI-III საუკუნეებიძ, „საქართველო“ (XI-XII საუკუნეებიდანძ, ხოლო მოსახლეობას – „იბერები“, „კოლხები“, „მეგრელები“ და „ქართველები“, მაგრამ ეს არ იყო დაკავშირებული ეთნიკურ და ენობრივ ცვლილებებთან.

სხვათა შორის, ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში კიმერიელებისა და სხვა ურდოების შემოსევების შედეგად „კოლხეთის სამეფო“ დაიშალა და მის ადგილზე წარმოჩინდა „ეგრისის სამეფო“, თუმცა ბერძნები მას ისევ „კოლხეთის სამეფოდ“ მოიხსენიებდნენ, რის გამოც ხალხმა არ იცის, რომ ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში (VI-III საუკუნეებიძ „ეგრისი“ და „მეგრელი“ ზოგადეროვნული ცნებები იყო, რომელთა ქვეშაც მოიაზრებოდნენ ჩვენი ქვეყნის კუთხეები და მათი მკვიდრები.

ამდენად, ქართული ეთნოსი ათასწლეულებია არსებობს, თუმცა მას სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახელი ერქვა – „იბერიული“, „კოლხური“, „მეგრული“, ხოლო XI-XII საუკუნეებიდან – „ქართული“.

უფრო მეტიც: თუ ვენდობით უცხოელ მეცნიერებს, ის ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში და სწორედ კავკასიიდან მოხვდნენ იბერები ევროპაში და ასევე ამერიკაშიც.

სამწუხაროდ, ისტორიას არ შემორჩა წყარო, რომელიც მიგვანიშნებს თუ რა ენაზე მეტყველებდნენ უძველესი იბერები, მაგრამ რადგანაც ისინი კოლხების წინაპრები არიან, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ „იბერიული ენა“ ფაქტობრივად „კოლხური ენა“ იყო, ხოლო, რაც შეეხება „კოლხურ ენას“, ერთმნიშვნელოვნად დადგენილია, რომ ის იგივე „მეგრული ენაა“.

მართლაც, „იბერიული ენა“, რომ იგივე „კოლხური“ (მეგრულიძ ენა იყო, ამაზე ერთგვარად მეტყველებს შემდეგი გარემოება – როგორც ცნობილია, ბასკები მიაჩნიათ იბერების შთამომავლებად, ხოლო თანამედროვე ბასკური ენა აშკარად ახლოსაა „კოლხურ“ (მეგრულძ ენასთან.

ამდენად „მეგრული ენა“ უძველესი ქართველური ენაა, რომელსაც სხვადასხვა ეპოქაში ერქვა „იბერიული ენა“, „კოლხური ენა“ და „მეგრული ენა“ (ძვ.წ. VI საუკუნეებიდან დღემდეძ.

სხვათა შორის, დაუდგენელია ჩვენს ქვეყანას შორეულ წარსულში რა ტერიტორია ეკავა, მხოლოდ ჰეროდოტეს (ძვ.წ. V ს.ძ მიერ დატოვებული წყარო იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ კოლხეთის (ეგრისისძ სამეფო ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში (VI-V საუკუნეებშიძ მოიცავდა ტერიტორიას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ფაქტობრივად, მთელ სამხრეთ კავკასიას, სადაც ცხოვრობდნენ ქართველების წინაპრები – კოლხები (მეგრელებიძ და გავრცელებული იყო კოლხური (მეგრულიძ ენა.

ამ ეპოქაში კოლხეთის (ეგრისისძ სამეფოში 20-ზე მეტი სხვადასხვა ტერიტორიული ჯგუფი დასახელებული, მაგრამ ბერძნები მათ ყველას კოლხებად მოიხსენიებდნენ, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ისინი კოლხები იყვნენ, ხოლო სხვადასხვა სახელებით იწოდებოდნენ, რადგანაც ცხოვრობდნენ ეგრისის (კოლხეთისძ სამეფოს იმ კუთხეებში, რომლებსაც ეს სახელები ერქვათ.

ბუნებრივია, მათი მშობლიური ენა იყო მეგრული (კოლხურიძ, რამაც ათქმევინა ბერძნებს, რომ ისინი ყველანი მეგრელები (კოლხებიძ არიან.

როგორც ცნობილია, ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეების მიჯნაზე ეგრისის (კოლხეთისძ სამეფო დაიშალა, მის აღმოსავლეთ ნაწილში წარმოჩნდნენ იბერიის და ალბანეთის სამეფოები.

რომ არაფერი ვთქვათ ძველი წელთაღრიცხვის V-III ათასწლეულების „იბერიაზე“ და შემდგომში მის ყოფილ ტერიტორიაზე წარმოჩენილ „კოლხეთის სამეფოზე“,



რომლებსაც „ქართლის ცხოვრება“ საერთოდ არ იცნობს, ის არც იბერიის და ალბანეთის სამეფოებს ახსენებს, მაგრამ „იბერიის სამეფოს“ ნაცვლად „ქართლის სამეფოს“ ახსენებს.

ეტყობა, „ქართლის ცხოვრების“ შემქმნელისთვის უცნობი იყო ეს სამეფოები.

ბუნებრივია, რადგანაც იბერიის და ალბანეთის სამეფოებს საფუძველი ჩაუყარეს ამ სამეფოების ტერიტორიაზე მცხოვრებმა მეგრულმა (კოლხურმაძ ტერიტორიულმა ჯგუფებმა, იბერებიც და ალბანებიც მეგრელები (კოლხებიძ იყვნენ ეთნიკურადაც და ენობრივადაც, უფრო ზუსტად – ამ ეპოქიდან იბერიაში მცხოვრებ მეგრელს დაერქვა იბერი, ხოლო ალბანეთში მცხოვრებს – ალბანი.

სათანადოდ ალბანურ ენას და იბერიულ (ქართლურძ ენას, რომელსაც შემდგომში ეწოდა „ქართული ენა“, საფუძვლად დაედო სწორედ მეგრული ენა.

რაც შეეხება აჭარლებს: სამწუხაროდ აჭარა XVI საუკუნეში დაიპყრეს ოსმალებმა და აჭარლების გარკვეული ნაწილი აიძულეს მუსულმანობა მიეღო, მაგრამ აჭარლებს არასდროს წამოცდენიათ, რომ ისინი ქართველები არ არიან.

მართალია, თითქმის XX საუკუნემდე პიროვნების ეროვნების მაჩვენებლად სარწმუნოება მიიჩნეოდა და ქართველად ითვლებოდა მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანი, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ იყო – როგორც ცნობილია, ეგრისის სამეფოში ქრისტიანობა გავრცელდა I-II საუკუნეებში, ხოლო იბერიის (ქართლისძ სამეფოში IV საუკუნეში და თითქმის 2-3 საუკუნე იბერებს (ქართლელებსძ და მეგრელებს სხვადასხვა სარწმუნოება ჰქონდათ, მაგრამ ისინი ერთი ეთნოსისა და ერთი ენის მქონე ძმები იყვნენ.

სათანადოდ აჭარლების ჭეშმარიტი ქართველობა ეჭვს არ იწვევს.

ამდენად, მეგრელები, სვანები, თუშები და აჭარლები ჭეშმარიტი ქართველები არიან და ბატონ ომარის კითხვა სრულიად გაუმართლებელია. თუმცა, რა გასაკვირია ეს კითხვა, როდესაც ბატონ ომარს სომხები, ოსები, აზერბაიჯანელები არათუ პოტენციურ, არამედ დღეს უკვე მიაჩნია რეალურ ქართველებად, ვინაიდან ის თვლის, რომ ქართული ეთნოსი არ არსებობს და ქართლელი ყოფილა თურმე მხოლოდ ეთნოსი, რომელსაც შეუქმნია საქართველო, მისი აზრით დღეს საქართველოში ყველა მცხოვრებს, მიუხედავად ეთნოსისა, ენისა და სარწმუნოებისა, ჰქვია ქართველი, მაგრამ ვიღაცეები ამას არ აღიარებენ.

ეტყობა, ბატონ ომარ ხახაშვილი განათლებული კაცია, მაგრამ, ვფიქრობ, მას ისტორიაზე ბევრი არ უმუშავია, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულია ასეთი რამ თქვას ქართველმა კაცმა.

სამწუხაროდ, ალბანეთის სამეფო ადრიდანვე მოწყდა ქართულ სინამდვილეს – VI საუკუნეში ის სპარსებმა დაიპყრეს, IX–X საუკუნეებში – თურქ-სელჩუკებმა, რომლებმაც ალბანების სრული ასიმილირება მოახდინეს.

რატომღაც, ქართველი მეცნიერები ნაკლებად ეხებიან ალბანების ვინაობას, მიიჩნევენ, რომ ისინი ქართველების მონათესავე ხალხი იყო, მაგრამ ამჟამად აღმოჩენილია წყარო, რომლის მსგავსი იშვიათია ისტორიაში – ეს არის ბიზანტიური ენციკლოპედია (IX სძ, სადაც ერთმნიშვნელოვნად წერია, რომ ალბანები მეგრელები არიან.

ეტყობა, IX საუკუნეშიც კი ალბანები მეგრულად მეტყველებდნენ.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის ისტორია ფაქტობრივად, იბერიისა (ქართლისძ და ეგრისის სამეფოების ისტორიაა.

სწორედ ამ სამეფოების გაერთიანებაში იყო ერთიანი ქართული სამეფოს და ერთიანი ქართველი ერის ჩამოყალიბების არსი.

როგორც აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი მიიჩნევს, ხალხის ერთიანობას განსაზღვრავს ხალხის ისტორიული მეხსიერება, რომელიც ქართველ ხალხს შემორჩა კოლხეთის (ეგრისისძ სამეფოს ეპოქიდან, რაც იძლევა საფუძველს ქართული ეთნოსის სათავედ მიჩნეული იქნეს კოლხეთი (ეგრისიძ.

ეტყობა, ხალხის მახსოვრობას შემორჩა, რომ იბერები და მეგრელები ერთნი იყვნენ, რამაც განაპირობა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ-დასავლეთის მკვიდრების მუდმივი სწრაფვა გაერთიანებისკენ.

სამწუხაროდ, სპარსებმა იბერიაში (ქართლშიძ მეფობა გააუქმეს (VI სძ და ერისმთავრობას დაუდეს სათავე, მაგრამ VII საუკუნეში არაბებმა დაიპყრეს და ერისმთავრობაც გააუქმეს.

ფაქტობრივად, იბერია (ქართლიძ უკვე ადმინისტრაციული ერთეული არ იყო, მას ფეოდალები მართავდნენ.

VII-X საუკუნეებში ქართლელები გაურბოდნენ არაბების ბატონობას და ეგრისის სამეფოში გადადიოდნენ, რამაც განაპირობა შემდგომში ქართულენოვანი რეგიონების – იმერეთის, გურიის, რაჭისა და აჭარის წარმოჩენა.

იბერიის (ქართლისძ სამეფო ოჯახი იძულებული გახდა სამხრეთ საქართველოში გადასულიყო, სადაც შეძლო „ქართველთა სამეფოს“ ჩამოყალიბება (IX სძ.

სხვათა შორის „საქართველოს“ და „ქართველის“ ტერმინების წარმოჩენას მეცნიერები უკავშირებენ მეგრულ ტერმინებს „ქართის“ და „ქორთუს“, როგორც დღესაც უწოდებენ მეგრელები ქართლს და ქართლელებს.

აღსანიშნავია, რომ ტერმინი „ქართლი“ და „ქართლელი“ არც ერთ უცხოურ წყაროში არ მოიხსენიება, ხოლო ქართულ წყაროებში გამოჩნდა ერთიან საქართველოს ეპოქაში (XI-XV სსძ.

IX საუკუნეში ყოფილი იბერიის (ქართლისძ სამეფოს ტერიტორია, თბილისის გარდა, განთავისუფლდა არაბების ბატონობისგან და ქართულმა სამეფო-სამთავროებმა დაიწყეს ბრძოლა ჩვენი ქვეყნის გასაერთიანებლად.

ამ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თუ ვინ დაეუფლებოდა ყოფილ იბერიის (ქართლისძ ტერიტორიას.

სწორედ ეს შეძლო ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგი I-მა (861-868 წ.წ.ძ

სხვათა შორის, ეგრის-აფხაზეთის სამეფოში (VIII-X საუკუნეებიძ დიდი ქართული საქმეები გაკეთდა:

– ეგრისის ეკლესია გამოეყო ბიზანტიის ეკლესიას და მცხეთის ეპარქიას დაექვემდებარა.

– ეგრის-აფხაზეთის დედაქალაქი ბედიიდან გადმოტანილი იქნა ქუთაისში, რაც ტერიტორიულადაც გამართლებული იყო, ვინაიდან იბერიის (ქართლისძ სამეფოს ყოფილი ტერიტორია მის შემადგენლობაში იყო.

– ეგრის-აფხაზეთის სამეფოში სახელმწიფო ენა გახდა ქართული ენა.

და ეს მაშინ, როდესაც ეგრის-აფხაზეთის მეფე-დიდებულებს შეეძლოთ მცხეთის ეპარქია ჭყონდიდის ეკლესიისთვის დაექვემდებარებინათ და სახელმწიფო ენად იბერიაში (ქართლშიძ მეგრული ენა დაედგინათ, ვინაიდან იბერია (ქართლიძ ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჰქონდა შემოერთებული და არა პირიქით.

აშკარაა, მეგრელი დიდებულებისთვის და მეგრელი ხალხისთვის მთავარი იყო ჩვენი ქვეყნის გაერთიანება და განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ აძლევდნენ სად იქნებოდა ეკლესიის ცენტრი და რომელი იქნებოდა სახელმწიფო ენა.

ეტყობა, ისინი აცნობიერებდნენ,

რომ ქვეყანას ჰქონოდა ერთი ენა და ერთი ეკლესია — დღეს სანატრელი გაგვიხდა მათი ეროვნული თვითშეგნება.

— სწორედ, ეგრის-აფხაზეთის მეფე ბაგრატ III თითქმის 30 წელი ცდილობდა ჩვენი ქვეყნის გაერთიანებას და შეძლო კიდევაც.

ბაგრატ III გახდა ერთიანი საქართველოს პირველი მეფე (1010წ)

მართალია, ერთიან ქვეყანას გარკვეული ხნის განმავლობაში აფხაზთა სამეფოდ მოიხსენიებდნენ, მაგრამ შემდგომში მას ეწოდა „საქართველოს სამეფო“ და მოსახლეობას „ქართველები“, მისი პირველი მეფის ბაგრატ III-ის პატივსაცემად, ვინაიდან ის წარმოშობით სამხრეთ ქართველთა სამეფოდან იყო.

ბუნებრივია, ამას არც ეთნიკური, არც ენობრივი და არც სარწმუნოებრივი ცვლილებები არ მოჰყოლია.

სწორედ ერთიან საქართველოს ეპოქაში (XI-XV-სს) „საქართველო“ და „ქართველი“ ისეთივე ზოგადეროვნული ცნებები გახდნენ, როგორც ადრეულ ეპოქებში იყვნენ ცნებები: „იბერია“ და „იბერი“, „კოლხეთი და კოლხი“ და „ეგრისი“ და „მეგრელი“, რომელთა ქვეშაც მოიაზრებოდა ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი კუთხე და მისი მკვიდრები.

ამდენად, ეთნიკური ცნებაა სწორედ „ქართველი“, ხოლო ქართლელი ქართული ეთნოსის მქონე ისეთივე რიგითი ქართველია, როგორც კახელი, იმერელი, მეგრელი, გურული, აჭარელი და ა. შ. და ქართლელს არ შეუქმნია ერთიანი „საქართველო“.

სხვათა შორის, არც ერთ უცხოურ წყაროში „ქართლი“ და „ქართლელი“ ნახსენები არ არის, ხოლო ქართულ წყაროებში წარმოჩინდა XIII-XIV-საუკუნეებიდან, უცხოურ წყაროებში ერთიან საქართველოს ეპოქამდე (XI-XV-სს) ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილს „იბერიის სამეფოდ“ მოიხსენიებდნენ და მოსახლეობას „იბერებად“.

აშკარაა, რომ ჩვენი ქვეყნის გაერთიანების ინიციატივა წამოვიდა ეგრის-აფხაზეთის სამეფოდან და ბაგრატ III-ის ქვეყნის გასაერთიანებლად ქართულ სამეფო-სამთავროებთან ბრძოლაში დასაყრდენ ძალას, სწორედ მეგრელი დიდებულები და მეგრელი ხალხი წარმოადგენდნენ, მათ შორის ლაზები, აფხაზები, ჭანები და მარგველები.

VI-III-საუკუნეები) საქართველოს (XI-საუკ. დღემდე) ეპოქებში, გამორიცხულია ქართულ ეთნოსში გარკვეული რაოდენობით უცხო ეთნოსი არ შერეულიყო, მაგრამ ისტორიიდან ჩანს, რომ ეს იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა ქართულ ეთნოსზე.

ყოველ შემთხვევაში, მინდა დავარწმუნო ბატონი ომარ ხახაშვილი, რომ დღეს საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ენისა და ეთნოსის მქონე, რუსულ-აზერბაიჯანულ-სომხურ-ოსური დიასპორის წარმომადგენლები ქართველები არ არიან, მით უმეტეს, მათ ამისი სურვილიც არა აქვთ, თორემ ვისაც ამისი სურვილი აქვს, ყველა ხდება ქართველი და ქართველები ამას არავის უშლიან.

სხვა თუ არაფერი, დიდმა დავით აღმაშენებელმა XI საუკუნის დასაწყისში ქართლში ჩაასახლა 200-ათასზე მეტი ყივჩაღი, მაგრამ ისინი ყველანი გაქართველდნენ და არავის არასდროს დაუყენებია რომელიმე ქართლელის ქართველობა ეჭვის ქვეშ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას:

— ქართული ეთნოსი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, ეტყობა ამან განაპირობა, რომ მსოფლიოში არსებული რასებიდან, „კავკასოიდი“, „მონგოლოიდი“ და „ნეგროიდი“, — „კავკასოიდის“ ქვეშ მოიაზრება თეთრი რასა.

— ქართველი ერი შედგება საერთო წარმომავლობის, ერთი ეთნოსის, ერთი ენისა და ერთი სარწმუნოების მქონე ტერიტორიული ჯგუფებისაგან- ქართლელები, მეგრელები, კახელები, იმერლები, გურულები, აჭარლები, ქიზიყელები, თუშები, ფშავლები, მოხევეები, მთიულები, ხევსურები, ინგილოები, ჯავახები, მესხები, სვანები და რაჭველები.

— ბუნებრივია, მეგრელები და სვანები ჭეშმარიტი მეგრელები არიან, ხოლო მეგრული და სვანური ენები ქართველური ენებია.

— უფრო მეტიც, მეგრული ენა უძველესი ეროვნული ენაა, რომელსაც სხვადასხვა ეპოქაში ერქვა „იბერიული ენა“ (ძ.წ.ა. V-III ათასწლეულები), „კოლხური ენა“ (ძვ.წ.ა.XX-VII საუკუნეები), „მეგრული ენა“ (ძვ.წ.ა VI-საუკუნიდან დღემდე).

სწორედ „მეგრული ენა“ დაედო



სათანადოდ, ვისი შექმნილია „საქართველო“, ამას ნებისმიერი დონის მკითხველი მიხვდება.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მონოეთნიკური ერები არ არსებობენ და არც ქართველი ერი იქნება გამონაკლისი, მაგრამ თუ რომელიმე ერს აქვს ამისი პრეტენზია, ვფიქრობ ჩვენ ერთ-ერთი მათგანი ვიქნებით.

მართლაც, ათასწლეულების განმავლობაში იბერიის (ძვ.წ. V-III-ათასწლეულები), კოლხეთის (ძვ.წ. XX-VII-საუკუნეები), ეგრისის (ძვ.წ.

საფუძვლად „იბერიულ“ (ქართლურ) ენას, რომელსაც ერთიანი საქართველოს ეპოქაში (XI-XV საუკუნეები) ეწოდა „ქართული ენა“.

—საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსის, ენისა და სარწმუნოების მქონე აზერბაიჯანული, სომხური თუ ოსური დიასპორის წარმომადგენლები ქართველები არ არიან, მაგრამ ისინი საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან.

**ანზორ შონია,**
**ქართველი, საქართველოს მოქალაქე**

***P. S. იმდენად** დამაბნია ბატონ ომარ ხახაშვილის მოსაზრებებმა ქართველებზე და ქართულ ეთნოსზე, რომ ვერ შევძელი პასუხის უფრო მწყობრად ჩამოყალიბება, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე.*

***ა. შ.***

◎ მოგონებები იმ მძიმე დღეთა

# ქართული ხასიათი

**საფრანგეთის დელეგაციის ხუთი წევრი ვერტმფრენით მიმყავს ამბროლაურისა და ონის რაიონში, რათა თავიანთი თვალით ნახონ მიწისძვრით მიყენებული ზარალი და შემდეგ გამოგზავნონ ჰუმანიტარული დახმარება. მივფრინავთ ე.წ. სამხრეთ ოსეთის თავზე. თარჯიმნის საშუალებით ვუყვები ოსებთან ჩვენი პრობლემების შესახებ, თან ვეკითხები, იციან თუ არა სხვა მაგალითი, როდესაც 6000 მეტრი სიმაღლის მწვერვალებიანი მთის ერთ მხარეს ქვეყნის ერთი ნაწილი იყოს, მეორე მხარეს კი — მეორე. მე ჩვენი მაშინდელი იდეოლოგიური ბრძოლის სისუსტეს მივაწერ, რომ ფრანგები აზრზეც არ იყვნენ ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ. შევეცადე, ობიექტურად ამეხსნა მათთვის ამ კონფლიქტის არსი. ფრანგები გაკვირვებულები დარჩნენ.**

ამავე მიზნით ჩამოსულ უცხოელებს (ფრანგებს, გერმანელებს და ჰოლანდიელებს) ვახლდი მიწისძვრით დანგრეულ საჩხერეში. დელეგაციის წევრები უმალვე დარწმუნდნენ, თუ რაოდენ დიდი ზარალი მიაყენა მიწისძვრამ რაიონს და მის ცენტრს.

შევედით ერთ-ერთ ეზოში. ორსართულიანი სახლი მიწასთან იყო გასწორებული. ოჯახის წევრებს სასწაულად გადარჩენილ მარანში ჰქონდათ მოწყობილი დროებითი საცხოვრებელი. ვიდრე უცხოელები დანგრეულ სახლს ათვალიერებდნენ, მასპინძელმა სახელდახელო სუფრა გაშალა კაკლის ქვეშ ქვის მაგიდაზე. სუფრაზე იყო ცხელი მჭადები, დამტვრეული იმერული ყველი, მწვანილი, ნიგოზსა და ძმარში შეზავებული პრასის მწნილი და თხელი წითელი ღვინო. უცხოელთა გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. მოერიდათ და არც აპირებდნენ სუფრასთან მისვლას, მაგრამ თარჯიმანმა, ჩემი თხოვნით, აუხსნა, რომ ეს ყველაფერი ქართველთა ზნე-ჩვეულებაში შედის და უხერხული აქ არაფერია, უნდა დაეწვიოთო, თუ არადა, ძალიან აწყენინებთო. სტუმრებმა ჯერ გაუბედავად, მხოლოდ ხათრისთვის გასინჯეს მორთმეული, შემდეგ კი ისე ეგემრიელათ, რომ მადიანად მიირთვეს.

კვლავ ფრანგების სხვა ჯგუფს დავათვალიერებინე ონი, ამბროლაური და საჩხერე. მიუხედავად თავგამოდებული პატიჟისა, არსად არ მოინდომეს სადილად დარჩენა და გამოვფრინდით თბილისში. მფრინავმა მაცნობა, რომ ყველაფერი გათვალისწინებულია საუზმისთვის და თუ თანხმობა იქნება, ერთ კარგ ადგილზე დავსხდებით და დავნაყრდებითო. სტუმრებს დილის აქეთ არაფერი მიურთმევიათ, და მეც აღარ შევუდექი დამატებით მათთან შეთანხმებას, ისე დავეთანხმე მფრინავებს.

ვერტმფრენი ჩვენმა „მძღოლებმა“ დასვეს ულამაზეს ადგილზე — წარმოიდგინეთ მაღალი მთა, ხშირი ტყის პირას მდელო, იქვე დანგრეული ეკლესიის ნაშთი და, რაც თავარია, ანკარა ცივი წყარო. გაიშალა სუფრა... მოშივებულმა ფრანგებმა საუზმით (განსაკუთრებით კონიაკით) და გარემოს ხილვით ისე ისიამოვნეს, რომ აღარც კი ახსოვდათ გზის გაგრძელება, მფრინავებს რომ არ გაეფრთხილებინეთ ღამე ფრენის საშიშროების შესახებ...

**რევაზ ტყემალაძე,**
**საქართველოს დამსახურებული მშენებელი.**

*1959 წლის 17 მარტს გარდაიცვალა დიდი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე*

# გალაკტიონს



***გალაკტიონი სიმაღლიდან გადმოეშვა და მიწას დაენარცხა, რათა მარადისობაში გაფრენილიყო.***

ფრთები გაშალე, გალა, გაშალე!
ქროლვით მუზებიც აღარ დაინდო,
რაღას მოსთქვამენ, ვის დასტირიან?
შენ აქ იყავ და არვინ დაგინდო.

ცეცხლის მზით მარად გაცისკროვნდები,
შვიდგზის შვიდფერად რომ კვლავ აინთო,
ლურჯა ცხენების შავი ფლოქვებით
ეშმა გათელე და არ დაინდო!

გადმოაღვენთე მადლი ცისკრისას,
დედა-ღვთისმშობელს ლექსი უკმიე,
უეკლო ვარდი, როგორც თილისმა,
სილაჟვარდეში მკერდზე უმნიე.

როგორ ევნე და როგორ ეწამე,
ჯვარს ეცვი! მაგრამ შველა არ იყო...
დანავარდობდა ქარი ლერწამზე,
ვინ განუგეშა... მერი სად იყო?!

ან „მესაფლავეს“ რისთვის სტიროდი,
მთაწმინდის მზე თუ ჩასისხლულიყო,
ან წრფელი გულით რისთვის მისნობდი,
თუ შენი ქნარი, ვისთვის რა იყო?

გაშალე ფრთები, გალა, გაშალე!
მგზნებარე ქროლვით რომ ცა გაიპოს,
ანგელოზები გამოაფხიზლე!
რომ საქართველო ისევ დაინდონ.

**ინესა მერაბიშვილი**

◎ შენ ბედი მითხარი

# მარტო ბრძენი კი არა, ნობელის კომიტეტიც ცდება...

**ბოლო ხანს მან, ჩვენი ფიქრით, ზედიზედ ორჯერ შესცოდა: პირველად მაშინ, როცა აშშ-ის ახალ პრეზიდენტს ბარაკ ობამას ნაადრევად მიანიჭა 2009 წლის ნობელის სამშვიდობო პრემია (იმიტომაც ვერ გაგზავნა ავღანეთში უკვე ნობელიანტმა პრეზიდენტმა 40 ათასი ჯარისკაცი დამატებით...); მეორედ შარშან, დეკემბერში, მედიცინისა და ფიზიოლოგიის დარგში რომ არ მიაკუთვნა ეს უმაღლესი მეცნიერული ჯილდო ალექსეი ოლოვნიკოვს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიური ფიზიკის ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ თანამშრომელს.**

სწორედ მან გამოაქვეყნა შორეულ 1971 წელს თეორიული შრომა უჯრედის დაბერების შესახებ. გამოკვლევაში ნავარაუდევია, რომ ეს პროცესი უკავშირდება ქრომოსომების ბოლო უბნების — ტელომერების დამოკლებას, აგრეთვე ნაწინასწარმეტყველევია იმ ფერმენტის არსებობა, რომელიც სიცოცხლის უჯრედს ეკუთვნის.

არადა 2009 წლის 10 დეკემბერს, სტოკჰოლმში ნობელის პრემია მიენიჭა სამ ამერიკელს, რომლებმაც 1998 წელს მხოლოდ ექსპერიმენტულად დაადასტურეს ოლოვნიკოვის ჰიპოთეზა. იმათ არა მხოლოდ პატივი ხვდებათ, არამედ კიდევ 1,4 მილიონი დოლარი. რუსეთელი ბიოლოგი სიაში არ აღმოჩნდა (შვედეთის დედაქალაქში გამართულ მეცნიერების ამ ზეიმში საერთოდ არ იყვნენ რუსეთელები).

მოსკოვში გამომავალმა გაზეთმა „არგუმენტი ი ფაქტიმ“ გამო-



აცხადა უსამართლოდ დაჩაგრული რუსი სწავლულის მხარდამჭერი ხელმოწერების შეგროვების კამპანია. წერილები ერთბაშად წამოვიდა რუსეთის ყველა რეგიონიდან, ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან, კიდევ აშშ-დან, გერმანიიდან, ისრაელიდან, საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან — სულ 19 ქვეყნიდან!

რამდენიმე კვირაში გაზეთმა 3538 ხელმოწერა შეაგროვა. ყველა წერილი, მთელი კორესპონდენცია გაიგზავნა მისამართით: სტოკჰოლმი, ნობელის ქუჩა № 1, სამეფო ინსტიტუტი, მედიცინისა და ფიზიოლოგიის კომიტეტი (რომელიც ყოველწლიურად არჩევს ამ დარგის ლაურეატებს). თანმხლები ბარათი შემდეგ მიმართვას შეიცავდა: **„ყოველკვირეული „არგუმენტი ი ფაქტი“ თავისი მკითხველებითურთ გთხოვთ, რომ 2009 წლის ლაურეატთა სიაში შეიყვანოთ რუსეთელი მკვლევარი ალექსეი ოლოვნიკოვი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმისი მეცნიერული შრომა დაუმსახურებლად იყო იგნორირებული ნობელის კომიტეტის მხრივ. გვესმის, რომ რეგლამენტი არ იძლევა ლაურეატთა რიცხვის ოთხასამდე გაზრდის ნებას, მაგრამ ამ შემთხვევაში გთხოვთ გამონაკლისის დაშვებას“.**

სტოკჰოლმის სამეფო ინსტიტუტში რედაქციის გზავნილი მივიდა შარშანდელი 23 ოქტომბრის დილას. ნობელის პრემიების გადაცემამდე 17 დღე რჩებოდა, თუმცა პასუხს „არგუმენტი ი ფაქტი“ ვერა და ვერ ეღირსა — ვერც ელექტრონული ფოსტით, ვერც ჩვეულებრივით...

ისე კი, ცნობისათვის, ნობელის კომიტეტი არასოდეს არ ცვლის თავის გადაწყვეტილებებს...

**მოამზადა**
**თამაზ ებანოიძე**

### რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს ტელევიზიის გათამაშებამ მთელი ქვეყანა შეაშინა



**ქართულ სამთავრობო ტელეარხ „იმედზე“ ყალბი ახალი ამბების გაშვებამ საქართველოში რუსეთის შემოჭრის, პრეზიდენტის მოკვლისა და ხელისუფლების სათავეში ოპოზიციის მოსვლის შესახებ არა მხოლოდ პანიკა გამოიწვია მოსახლეობაში, არამედ თავად სააკაშვილის მთავრობისადმი უამრავი შეკითხვა გაჩნდა. ოპოზიციის ლიდერები ამაში ხედავენ სააკაშვილის მცდელობას, მოახდინოს თავისი პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაცია. კრემლში კარგად გამოიყენეს „იმედის“ მისტიფიკაცია და კვლავ გამოაცხადეს სააკაშვილი გიჟად. უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ასკვნიან: „ინსცენირების დიდი ოსტატის“ სააკაშვილის რეჟიმი არ შეიძლება იყოს დასავლეთის მოკავშირე**

საქართველოში ყალბი ახალი ამბების გამოშვების შემდეგ ატყდა პანიკა, აღნიშნავს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, როდესაც კომენტარს უკეთებდა ტელეარხ „იმედის“ შაბათის ცნობას რუსეთის შეჭრის შესახებ. ხალხის ნაწილი სასწრაფო დახმარების მანქანებს იძახებდა და ატყობინებდა გულის შეტევების შესახებ, სხვები გარბოდნენ მაღაზიაში პურის საყიდლად, ერთ-ერთი საზღვრისპირა სოფლის მოსახლეობამ კი მთლიანად დატოვა თავისი სახლები და სადღაც გაემგზავრა, იტყობინება კორესპონდენტი ენდრიუ ი.კრამერი.

„გადაცემა აშკარად ჩაფიქრებული იყო, როგორც პოლიტიკური სატირა, მაგრამ მოვლენათა წარმოჩენა საკმაოდ რეალისტური იყო, ხოლო ხსოვნა 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ხანმოკლე ომის შესახებ იმდენად ნათელი იყო, რომ ტელემაყურებლები გაიქცნენ ზომების მისაღებად, ისე, რომ არ იცოდნენ, რას აკეთებდნენ“, – წერს გამოცემა.

„ოპოზიციის ლიდერებმა განაცხადეს, რომ გადაცემა – ეს არის სააკაშვილის ფანდი მოახდინოს თავისი პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაცია, ვინაიდან ყალბ ახალ ამბებში ოპოზიცია წარმოჩენილი იყო, როგორც რუსი ოკუპანტების ხელის შემწყობი“, – წერს გაზეთი. ტელეარხ „იმედის“ დირექტორი წარსულში სააკაშვილის მთავრობაში მუშაობდა. თავად სააკაშვილმა გააკრიტიკა გადაცემა, მაგრამ მიუთითა, რომ მან შეაშინა ხალხი სწორედ თავისი რეალისტურობით. ადრე იგი აკრიტიკებდა ოპოზიციის ლიდერს ნინო ბურჯანაძეს მისი ამასწინდელი შეხვედრის გამო პუტინთან, აღნიშნავს გაზეთი.

შაბათ საღამოს ტელეარხ „იმედის“ მიერ გადმოცემული ცნობის შემდეგ რუსეთის შემოჭრისა და სააკაშვილის მკვლელობის შესახებ, საქართველოში გამოირთო გადატვირთვის გამო ქსელური კავშირგაბმულობა, ხალხი ქუჩაში გამოცვივდა, მეგობრები, ნათესავები სასოწარკვეთილებით ცდილობდნენ ერთმანეთთან დაკავშირებას, აღნიშნავს „დი გარდიანი“. „მთელი ქვეყანა ამდენად წარმატებულად არ ყოფილა მოტყუებული მას შემდეგ, რაც ორსონ უელსმა თავის რადიოინსცენირებაში „სამყაროთა ომები“ აიძულა ამერიკა დაეჯერებინა მარსელების შემოჭრის შესახებ“, – ამტკიცებს კორესპონდენტი ლუკ გარდინგი.

გაზეთ „ჯორჯიენ მისენჯერის“ მთავარი რედაქტორი ზაზა გაჩეჩილაძე ინტერვიუში იტყობინებოდა, რომ ხალხმა განიცადა სრული შოკი, ერთ-ერთი სამხედრო მოსამსახურის დედა გარდაიცვალა გულის შეტევით, რომელიღაც ქალს ნაადრევი მშობიარობა დაეწყო. „ეს არის დანაშაული და იგი უნდა დაისაჯოს“, – ასკვნის გაჩეჩილაძე. ბრიტანელი და ამერიკელი კორესპონდენტები მოსკოვში, როდესაც ინტერფაქსის სააგენტომ გადასცა ახალი ამბები მოსალოდნელი შემოჭრისა და სააკაშვილის გარდაცვალების შესახებ, დარწმუნდნენ, რომ ეს სერიოზული შეტყობინება იყო, მათ კარადიდან ჯავშანჟილეტებიც კი გამოიღეს, აღნიშნავს გამოცემა. ისინი დამშვიდდნენ მხოლოდ „სანდეი ტაიმსის“ ექს-რეპორტიორის ცნობების შემდეგ, როდესაც მან სმს-ში გადასცა მხოლოდ ერთი სიტყვა „სიცრუეა“. ეს რეპორტიორი კონტრაქტით საქართველოს მთავრობასთან მუშაობს.

„შემთხვევით არ მომხდარა, რომ ტელეარხმა „იმედმა“ აჩვენა არაჩვეულებრივი გადაცემა რამდენიმე დღიდან მას შემდეგ, რაც ნინო ბურჯანაძე მოსკოვში შეხვდა პუტინს და მოუწოდა მას ურთიერთობის აღდგენა“, – წერს გაზეთი და აღნიშნავს, რომ ახალი ამბების ყალბ გადაცემაში ნათქვამი იყო, თითქოს ბურჯანაძემ აიღო ხელში ხელისუფლება. „ეტყობა, გადაცემა იყო უგუნური თავდასხმა ქართულ ოპოზიციაზე თბილისის მერის არჩევნების წინ“, – ვარაუდობს გამოცემა. ამავე დროს კრემლის პოლიტიკოსებმა ხელი ჩასჭიდეს ამ მისტიფიკაციას და კვლავ გამოაცხადეს სააკაშვილი გიჟად.

ამ საეჭვო „ხუმრობაზე“ რეაქცია დაუყოვნებლივი იყო, წერს „ლა სტამპას“ ინტერნეტ რედაქცია. საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, ამჟამად ოპოზიციის წარმომადგენელმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ „ამ გადაცემის თითოეული წუთი მოიწონა სააკაშვილმა“. კრიტიკული რეაქცია გაჩნდა სხვა ქსელებშიც. რუსეთმაც მოახდინა რეაგირება პროვოკაციაზე: „რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელის კონსტანტინ კოსაჩევის სიტყვებით, „ერთადერთი პიროვნება, რისთვისაც ეს ხელსაყრელი იყო – ეს არის საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი. მისთვის ეს არის ერთადერთი შესაძლებლობა როგორმე შეინარჩუნოს თავი ისტორიაში“, – იტყობინება გამოცემა.

„ბერლინელ ცაიტუნგი“ სააკაშვილს „ინსცენირების დიდ ოსტატს“ უწოდებს. წარმოიდგინეთ, წერს გამოცემა, როდესაც კომენტარს უკეთებს საქართველოს ტელეარხ „იმედის“ „სახელგანთქმულ რეპორტაჟს საქართველოზე რუსეთის თავდასხმის შესახებ, რომ ცნობილი გერმანული ტელეკომპანია წყვეტს პროგრამას, რათა აცნობოს თავის მაყურებელს დიდ ტერორისტულ აქტზე, მაგალითად, ფრანკფურტის აეროპორტში, რომ იგი აჩვენებდეს ხალხს, რომელიც სისხლით იცლება, სასწრაფო დახმარების მანქანების უწყვეტ ჯაჭვს, ნახევარი საათის გასვლის შემდეგ კი ეკრანზე ჩნდებოდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი და იტყობინებოდეს, რომ წარმოდგენილი ამბები მხოლოდ ინსცენირება იყო. ასეთის წარმოდგენა შეუძლებელია“, მიიჩნევს პუბლიკაციის ავტორი მარიტა ტკალეკი.

მაგრამ ასეთი ექსპერიმენტი საკუთარი ხალხისთვის მოაწყო საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა. სამთავრობო ტელეარხმა შაბათს აჩვენა „რეპორტაჟი“ საქართველოზე რუსეთის თავდასხმის, პრეზიდენტის მკვლელობისა და ხელისუფლებაში ოპოზიციის მოსვლის შესახებ. ამით „სააკაშვილის სახიფათო უგუნურობათა ჩამონათვალი აღწევს ახალ აპოგიას“. როგორც ჩანს, მას სჭირდებოდა „პატარა აქცია“, რათა განემუხტა თავისი რისხვა, ოპოზიციონერებმა რომ გამოიწვიეს, რომლებიც აწარმოებენ მოლაპარაკებას რუსეთის პრემიერ პუტინთან. ახლა უკვე ცხადია, რომ „სააკაშვილის რეჟიმი არ შეიძლება იყოს დასავლეთის მოკავშირე“.

როგორც „ლე ჟორნელ და დიმანში“ იტყობინება, რეპორტაჟის შემდეგ სამთავრობო ტელეარხ „იმედის“ დიქტორმა დებატების გახსნის წინ აღნიშნა, რომ ეს იყო მხოლოდ მცდელობა, რათა წარმოგვეჩინა, თუ როგორი იქნებოდა ყველაზე ცუდი დღე საქართველოს ისტორიაში. მიუხედავად ამისა, თბილისის მცხოვრებლები შეიკრიბნენ ტელეკომპანიის შენობასთან, რათა გამოეხატათ თავისი პროტესტი ასეთი საეჭვო ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, აღნიშნავს გამოცემა.

საქართველოს ოპოზიციის წარმომადგენლებმა ამ რეპორტაჟის მომზადებისა და შედეგების პასუხისმგებლობა საქართველოს ხელისუფლებას დააკისრეს, ბრალი დასდეს მას სატელევიზიო სივრცის მონოპოლიზაციაში, რათა დააშინოს საკუთარი ხალხი, წერს კორესპონდენტი მატიე ოლივიე.

**პრესის მიმოხილვა**

# სააკაშვილი ამბობს, რომ „იმედის“ ფსევდორეპორტაჟის შესახებ არ იცოდა



**არც საქართველოს პრეზიდენტმა, არც საქართველოს მთავრობის წევრებმა არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ ტელეარხი „იმედი“ ამზადებდა მოგონილ რეპორტაჟს, რომელიც ეთერში გავიდა შებათს, ამტკიცებს ოფიციალური თბილისი**

როგორც ორშაბათს მიხეილ სააკაშვილის პრესმდივანმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, სახელმწიფოს მეთაურმა „სრული აბსურდი უწოდა განცხადებას იმის შესახებ, თითქოს საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობა ინფორმირებული იყო წინასწარ და მონაწილეობასაც კი ღებულობდნენ ამ რეპორტაჟის მომზადებაში“.

13 მარტს ტელეარხმა „იმედმა“ ეთერში გადასცა რეპორტაჟი, რომელიც დამონტაჟებული იყო ძველი სიუჟეტებისგან და რომელშიც საუბარი იყო რუსეთის შემოჭრის, აეროპორტებისა და ნავსადგურების დაბომბვის და პრეზიდენტ სააკაშვილის დაღუპვის შესახებ. იმის შესახებ, რომ ეს მოვლენები გამოგონილი იყო, ნათქვამი იყო სიუჟეტის დაწყების წინ და მისი დამთავრების შემდეგაც. თუმცა იგი ბევრმა აღიქვა, როგორც რეალური რეპორტაჟი.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ორშაბათს დაავალა ტელეარხს „აღიაროს დარღვევის ფაქტი და ბოდიში მოიხადოს საზოგადოების წინაშე ინსცენირების გამო“, აღნიშნავს საagენტო „რია ნოვოსტის“ კომისიის სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი კახი ყურაშვილი.

სკანდალური მასალა მომზადდა თანდათან პოპულარულად გამხდარ ჟანრში, რომლისთვისაც შეიძლება გვეწოდებინა ფსევდოდოკუმენტური. გამოგონილმა რეპორტაჟმა საქართველოში სხვადასხვა ემოციების მთელი ქარიშხალი გამოიწვია.

გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ეთერში მისი გასვლის დროს ქვეყანაში გაიზარდა ინფარქტებისა და ინსულტების შემთხვევები, ხოლო მიხეილ სააკაშვილმა კვირას აღნიშნა: „გუშინდელი სცენარი, სამწუხაროდ, იყო მეტად რეალისტური და ამ თვალსაზრისით მიმაჩნია, რომ, მიუხედავად ასეთი ნერვული რეაქციისა, შეიძლება, გუშინდელი რეპორტაჟი რუსეთისთვის გახდეს დაბრკოლება მისი გეგმების განხორციელებაში“.

ორშაბათს ამ სიტყვებზე რეაგირება მოახდინა ოფიციალურმა მოსკოვმაც, რომელმაც „იმედის“ ფსევდოდოკუმენტურ ფილმს უპასუხისმგებლო და ამორალური უწოდა. „პოლიტიკურ პარანოიდს არასოდეს მოუტანია სარგებელი და არ გადაუწყვეტია სერიოზული პრობლემები არც ერთ სახელმწიფოში“, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ანდრეი ნესტერენკომ.

ამას წინათ ქართული ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ „იმედს“, რომელიც კერძო ტელეკომპანიაა, დე ფაქტო კონტროლს უწევს მთავრობა და რომ სიუჟეტის ჭეშმარიტი ავტორი და განმახორციელებელი იყო არა ვინმე სხვა, არამედ სწორედ პრეზიდენტი სააკაშვილი.

ასეთივე შეფასება გამოთქვა მოსკოვის წარმომადგენელმაც. „საქართველოში ფართოდ მუსირებს აზრი იმის შესახებ, რომ პროვოკაცია „იმედის“ არხზე არ შეიძლებოდა მომზადებულიყო ხელისუფლების სანქციის გარეშე“, – თქვა ანდრეი ნესტერენკომ.

მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის პრეს-მდივანმა უარყო ეს ბრალდება. „საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია დამოუკიდებელ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე კონტროლის ბერკეტები, – ამბობს მანანა მანჯგალაძე. – მთავრობა რომ ცენზურას ახორციელებდეს, მაშინ ხელისუფლება თავად იქნებოდა დაინტერესებული, რომ ეს პროგრამა ეთერში არ გასულიყო“.

„პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ „იმედის“ ეს პროგრამა მომზადდა ჟურნალისტური და ეთიკური სტანდარტების დარღვევით, – დაუმატა პრეს-მდივანმა. – და სააკაშვილი მოუწოდებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს, უფრო მეტი პასუხისმგებლობით მიუდგნენ ჟურნალისტური სტანდარტების დაცვას“.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**ჩილეში კვლავ მოხდა კიდევ უფრო ძლიერი მიწისძვრა: 6,7 ბალისა**

ეპიცენტრი იმყოფებოდა ბიობიოს რეგიონში, სანტიაგოდან 350 კილომეტრის სამხრეთით. მიუხედავად ამისა, მიწისქვეშა ბიძგები შეინიშნებოდა ჩილეს დედაქალაქშიც. უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში ქვეყანაში 150-ზე მეტი მიწისძვრა მოხდა.

* * *

**ჩინეთის არალეგალურ შახტში ელექტროგაყვანილობის გაუმართაობის გამო 25 მაღაროელი დაიწვა**

ხანძარი გაჩნდა ქვანახშირის შახტში ხენანის პროვინციაში. მაღაროში 31 მეშახტე იყო, რომელთაგან მხოლოდ ექვსის ამოყვანა მოახერხეს. შახტში სამუშაო უკანონოდ მიმდინარეობდა: უკვე დაკავებული არიან მისი პატრონი, მოიჯარე და დირექტორი.




* * *

**იანუკოვიჩი იხმობს აშშ-ს და რუსეთს კიევში ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ**

ეს წინადადება იანუკოვიჩმა შესთავაზა მედვედევს ჯერ კიდევ 5 მარტს. იანუკოვიჩის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ მოსკოვმა „ინიციატივა საინტერესოდ მიიღეთ“. კიევს მეტოქეობას უწევს პრაღა – იქ ობამა გამოვიდა ინიციატივით ბირთვული შეიარაღების დონის შემცირების შესახებ. არგუმენტი უკრაინის სასარგებლოდ – ეს არის მისი ნებაყოფლობითი უარის თქმა ბირთვულ იარაღზე ჯერ კიდევ 1992 წელს.



* * *

**ამერიკელი ძუნძულით სირბილის დროს თვითმფრინავმა მოკლა, რომელიც ავარიულ დაჯდომას ახორციელებდა**

მსუბუქ თვითმფრინავს 4 ათასი მეტრის სიმაღლეზე გაუჩნდა პრობლემა მოტორთან დაკავშირებით და მფრინავმა გადაწყვიტა დამჯდარიყო უახლოეს პლაჟზე. ზეთის ლაქების გამო ის ვერ ხედავდა, თუ სად უნდა დამჯდარიყო და დაეჯახა მახლობლად მორბენალ სპორტსმენს. იგი ადგილზევე გარდაიცვალა.



დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

პირიქით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძერჟინსკიმ მოინდომა ყოფილიყო ამბოხების ხელმძღვანელებთან ერთად. თანაც მიეღო ალიბი ოპერაციის ჩაშლის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო ძერჟინსკის არა ერთადერთი ალიბი. მაგალითად, ამბოხებამდე ორი კვირით ადრე მან დაშალა საიდუმლო კონტრრევოლუციური განყოფილება, რომელსაც სათავეში მემარცხენე ესერი ბლუმკინი ედგა – ეს ისაა, ვინც დაიწყო ამბოხება, მოკლა გერმანიის ელჩი მირბახი. ძერჟინსკიმ თავისი გადაწყვეტილება დაასაბუთა იმით, რომ ბლუმკინს ბრალი მიუძღვის სერიოზულ თანამდებობრივ ბოროტმოქმედებებში. ამასთან თავად ბლუმკინის საკითხი ღიად დარჩა – მისთვის არანაირი სასჯელი არ გამოუტანიათ. არადა ხომ ლოგიკური იქნებოდა, სხვაგვარად რომ მოქცეულიყვნენ – დაესაჯათ ბლუმკინი, კონტრდაზვერვა კი, როგორც ქვედანაყოფი, დაეტოვებინათ. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ძერჟინსკი იფიქრებდა საკავშირო საგანგებო კომისიის ინტერესებზე. ის კი, როგორც ჩანს, ზრუნავდა იმისთვის, თუ როგორ ჩამოეშორებინა ეჭვი (ვითომ ზომები მემარცხენე ესერების მიმართ მიღებულიაო), მაგრამ ბლუმკინი დაეტოვებინათ ხელუხლებლად (ძერჟინსკის დასავლურობას აღნიშნავს შემდეგი ფაქტი. ერთხელ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ მ.მ.ლიტვინოვმა (სხვათა შორის, ასევე დასავლურ დემოკრატებთან დაახლოების თავგამოდებულმა მომხრემ) „რკინის ფელიქსის“ ყურადღება მიაპყრო იმას, რომ „საგანგებო კომისიის“ ციხეებში ძალიან ბევრი უცხოელია. მაშინ ყოვლისშემძლე საიდუმლო პოლიციის ხელმძღვანელმა ლიტვინოვს მისცა საშვი ლუბლიანის ციხეში, გაუხსნა მას ყველა კამერა, აჩვენა ყველა უცხოელის საქმე და ნება მისცა გაეთავისუფლებინა (!) ნებისმიერი მათგანი. რა გამოვიდა? ბევრი გაათავისუფლეს. როგორც ცხადად ჩანს, ძერჟინსკი, სისხლიანი წითელი ტერორის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სულაც არ ყოფილა ისეთი მკაცრი, როდესაც საქმე შეეხებოდა უცხოელებს. ესენი – რუსები იყვნენ, აზნაურები, ჩინოვნიკები, მღვდლები, აი გლეხებსა და მუშებს კი შეეძლოთ ამომპალიყვნენ საბჭოთა ციხეებში ყოველგვარი დაცვის გარეშე. სხვა საქმეა – უცხოელები! მათ იცავდნენ საგარეო საქმე სახალხო კომისარიატის მაღალი რანგის ჩინოვნიკები, რომლებიც, როცა საჭირო იყო, ითვისებდნენ სამართალდაცვის ორგანოების ფუნქციებსაც).

აქვე უნდა ითქვას, რომ საქმეში კონტრდაზვერვის შესახებ სავსებით შესამჩნევია ინგლის-საფრანგეთის კვალი, რაც არც არის გასაკვირი – ანტანტა მეტად დაინტერესებული იყო, რომ რუსეთს კვლავ დაეწყო ომი გერმანიასთან.

ძალიან საინტერესოა, რომ მირბახის მკვლელი ბლუმკინი სათავეში ედგა საგანგებო კომისიის საიდუმლო განყოფილებას, რომლის დანიშნულებაც სწორედ გერმანიის ჯაშუშობასთან ბრძოლა იყო. ამ პოსტზე ის დაინიშნა ძერჟინსკის ინიციატივით, რომელიც მეტად შეშფოთებული იყო კონტრდაზვერვითი საქმიანობით, მხოლოდ და განსაკუთრებით გერმანიასთან დაკავშირებით. ამ ნიადაგზე „რკინის ფელიქსი“ ანტანტის აგენტურასაც კი დაუკავშირდა. მაგალითად, 1918 წლის გაზაფხულზე, პეტროგრადში ჩასვლის დროს, ძერჟინსკიმ დაამყარა უმჭიდროესი საქმიანი კონტაქტი მ.ორლინსკისთან (ნამდვილი გვარია – ორლოვი), ჩრდილოეთის ოლქის ცენტრალური სისხლის სამართლისა და საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელთან. ეს მოღვაწე მუშაობდა საგამოძიებო სტრუქტურებში ჯერ კიდევ რევოლუციამდე და უკვე მაშინ მეტად აქტიურად ააშკარავებდა გერმანიის ჯაშუშობას, მან ე.წ. „რასპუტინის პარტიამდეც“ კი მიაღწია. თავად იგი მონარქისტი იყო, ორიენტაცია ჰქონდა ინგლისზე და საფრანგეთზე. როდესაც ბოლშევიკების სამსახურში გადავიდა, ორლოვ-ორლინსკიმ ერთდროულად დაამყარა კავშირი ინგლისისა და საფრანგეთის რეზიდენტურებთან, რომლებსაც ის პირველი კლასის ინფორმაციას აწვდიდა. მაგალითად, სახელგანთქმული ინგლისელი მზვერავი ს.რეილი თავისი მონაცემების ლომის წილს სწორედ ორლინსკისგან ღებულობდა.

ინგლისის დაზვერვამ საერთოდ უდიდესი როლი შეასრულა „ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის“ სპეციალური სამსახურის ჩამოყალიბებაში. ამას აღიარებენ თავად ნისლიანი ალბიონის აგენტები. აი, მაგალითად, ნაწყვეტი ბრიტანელი ჯაშუშის ე.ჰილის მოგონებებიდან: „უწინარეს ყოვლისა, მე დავეხმარე ბოლშევიკებს სამხედრო შტაბის დაზვერვის განყოფილების შექმნაში, რათა გამომევლინებინა გერმანელთა შენაერთები რუსეთის ფრონტზე და გვეწარმოებინა მუდმივი მეთვალყურეობა მათი ჯარების გადაადგილებაზე... მეორეც, მე მოვაწყვე ბოლშევიკების კონტრდაზვერვის განყოფილების მუშაობა, რათა თვალყური გვედევნებინა გერმანიის საიდუმლო სამსახურისა და მისიებისთვის პეტროგრადსა და მოსკოვში“.

სხვათა შორის, „გერმანული სამსახურების“ შესახებ. ძერჟინსკის ორლინსკიში იზიდავდა აშკარა გერმანოფობია და გერმანულ ჯაშუშობაზე დაციკლება. მან მაქსიმალური ძალისხმევა მოახმარა, რათა ორლინსკი მოსკოვში ჩაეყვანა და დაეყენებინა იგი საგანგებო კომისიის ახლად შექმნილი კონტრდაზვერვის სათავეში. მაგრამ პეტროგრადის ხელისუფლებამ წინააღმდეგობა გაუწია განზრახვას – წაერთმიათ მისთვის ასეთი ძვირფასი მუშაკი და ძერჟინსკის გეგმები ვერ განხორციელდა. 1918 წლის აგვისტოში კი ორლინსკი გაიქცა პიტერიდან და გამოცხადდა უკვე თეთრების მოძრაობის რიგებში, სადაც მთლიანად მიუძღვნა თავი ბოლშევიკებთან ბრძოლას. მოგვიანებით, ემიგრაციაში, ის მცდელობას არ აკლებდა კომინტერნის საშეთქმულებო და სადივერსიო საქმიანობისთვის ზიანის მიყენებას, რითაც დიდ საზრუნავს უჩენდა თავისი ყოფილი მფარველის ძერჟინსკის უწყებას.




შევხედოთ – როგორი საინტერესო ჯაჭვი გამოდის. მემარცხენე ესერები გერმანიასთან ომის მომხრეები იყვნენ, მემარცხენე კომუნისტებიც. მემარცხენე კომუნისტი ძერჟინსკი თანამშრომლობს ანტანტის აგენტ ორლინსკისთან ანტიგერმანული კონტრდაზვერვის სტრუქტურის შექმნის საქმეში, თანაც მას სათავეში უყენებს მემარცხენე ესერს ბლუმკინს.

ძერჟინსკის საერთოდ უყვარდა იმ სხვადასხვა პიროვნებების შემოკრება თავის გარშემო, ვისი კავშირებიც მეტად საეჭვო იყო ბოლშევიკური ორთოდოქსის თვალსაზრისით. და ეს კავშირები ანტანტის ქვეყნებისკენ მიდიოდა.

ორლინსკის გარდა „რკინის ფელიქსის“ გული მოიგო მეტად კოლორიტულმა პერსონაჟმა – ა.ფილიპოვმა. ოდესღაც, ჯერ კიდევ რევოლუციამდე, მან, მეწარმე – „მბეჭდავ“ ი.სიტინთან ერთად, გამოსცა ჟურნალი „რუსკოე სლოვო“, აგრეთვე დააფუძნა რამდენიმე ბეჭდური გამოცემა – „დენგი“, „რეველსკიე იზვესტია“, „ჩერნომორსკოე პობერეჟიე“ და „კუბანი“. ყველა აღნიშნულ გამოცემას ლიბერალური მიმართულება ჰქონდა, ლიბერალიზმი კი რუსეთში, როგორც ცნობილია, ორიენტაციას ყოველთვის ინგლისზე და საფრანგეთზე იღებდა. ფილიპოვმა მხარი დაუჭირა ოქტომბრის გადატრიალებას და დაიწყო საგანგებო კომისიასთან („ჩეკასთან“) თანამშრომლობა. საინტერესოა, რომ ის ესერებისა და კადეტების წრეებთანაც იყო დაკავშირებული, ვის განწყობილებათა შესახებაც აცნობებდა ხოლმე კიდეც „ორგანოებს“. კვლავ სახეზეა პროატლანტიკურ ელემენტებთან, როგორებიც იყვნენ კადეტებიც და ესერებიც, კავშირურთიერთობანი.

მალე ფილიპოვი ძერჟინსკის საიდუმლო აგენტი ხდება, ვისაც მთავარი ჩეკისტი აძლევდა მეტად პასუხსაგებ და დელიკატურ დავალებებს. მაგალითად, ის აწარმოებდა ბეჭდვით საქმეში პიტერელი კომისრის მ.ვოლოდარკის მკვლელობის საიდუმლო გამოძიებას. ნიშანდობლივია, რომ მემარცხენე ესერთა ამბოხების ჩაფუშვის შემდეგ ფილიპოვი დააპატიმრეს. შეიძლება, ის როგორღაც დაკავშირებული იყო თავად მეამბოხეებთან – თავისი პატრონის ხაზით.

რასაკვირველია, ამ საქმეში „რევოლუციის დემონს“ გვერდი ვერ აუარეს.

მემარცხენე ესერების ამბოხების დროს ტროცკი ისევე, როგორც სხვა კომუნისტი ლიდერები, ოფიციალურად მხარს უჭერდა ლენინს და სახალხო კომისართა საბჭოს. მაგრამ, ფაქტობრივად, ის შეთქმულებს ეხმარებოდა. „მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ სინამდვილეში ბრძანება მირბახის მკვლელობის შესახებ საფრანგეთის დაზვერვასთან შეთანხმებით გასცა ბრიტანეთის დაზვერვის წარმომადგენელმა ჯ.ჰილმა, რომელიც ტროცკის უახლოესი თანაშემწე იყო სამხედრო დაზვერვის ორგანიზაციის საქმეში, – იტყობინება ა.მარტიროსიანი. – ეტყობა, სწორედ ჯ.ჰილსა და ტროცკის შორის მოხდა კომბინაციის შეთანხმება, თითქოსდა საფრანგეთის დაზვერვის კაპიტნის პიერ ლორანის მიერ ბლუმინის დაჯავშვნის შესახებ: ფრანგებსაც ექავებოდათ ხელი, გასწორებოდნენ იმავე მირბახს მატა ხარის გამო, რომელიც მან გადმოიბირა. ასეთი კომბინაციის გარეშე ბრიტანელების ყური „ალია ტროცკი“ უმალვე გამოააშკარავებდა საქმეს, რაც, ბუნებრივია, ბრიტანეთის დაზვერვას არ უნდოდა“. და კიდევ მარქსიზმ-ლენინიზმის – ამჟამად თანამედროვე ისტორიის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი – ფონდი 70, აღწერა 3, შენახვის ერთეული 769, ინახავდა ერთ მეტად საინტერესო დოკუმენტს... ჩრდილოეთის რკინიგზის რევოლუციური კომიტეტის ცნობაზე იაროსლავში მემარცხენე ესერების ამბოხების შესახებ ლევ დავითის ძე ტროცკი თავისი ხელით დაწერილი წერილით ბრძანებდა დაეხვრიტათ მთელი რევოლუციური კომიტეტი ამ ცნობის გამო“ („მარშლების შეთქმულება. ბრიტანეთის დაზვერვა სსრ კავშირის წინააღმდეგ“).

ნიშანდობლივია, რომ მემარცხენე ესერების ამბოხება დაემთხვა დროში იაროსლავში, რიბინსკში, მურომში, კოსტრომაში ანტიბოლშევიკურ ამბოხებებს. მათს ორგანიზაციაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ უკვე მემარჯვენე ესერები, რომლებიც ასევე ბრესტის ზავის წინააღმდეგი იყვნენ და მხარს უჭერდნენ ომს გერმანელებთან. რა არის ეს – უბრალო დამთხვევა? ძალიან ბევრი დამთხვევა ხომ არ გამოდის? და აი კიდევ რა არის დამახასიათებელი – აჯანყებულთა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა გერმანიასთან ომის განახლება იყო. ამას უჭერდნენ მხარს მემარცხენე ესერებიც, რომლებმაც (გავიხსენოთ) დააგზავნეს ადგილებზე დეპეშები მოწოდებით – აღმდგარიყვნენ გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. და აი, აღდგნენ კიდეც ადგილებზე – სრულიად მარტივად.

მართლაც, მემარცხენე და მემარჯვენე ესერებმა დიდი ხანია, დადეს ხელშეკრულება რაღაც პოლიტიკური ბლოკის შესახებ, რომელიც ემყარებოდა, უწინარეს ყოვლისა, სწორედ სოლიდარობას „გერმანიის საკითხში“. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს ერთობლივი სხდომა 18 მაისს აღინიშნა ყველა სოციალისტის (მემარცხენე, მემარჯვენე ესერების, მენშევიკების) შეთანხმებული შეტევით ბრესტის ზავზე. ჯერ სიტყვიერი კრიტიკა იყო, ორი თვის შემდეგ პროანტანტელმა სოციალისტებმა, პროანტანტელი კომუნისტების მიმნებებლობით, გამოიყენეს უფრო ძლიერი „არგუმენტი“.

მემარცხენე ესერებისა და მემარცხენე კომუნისტების პროინგლისური ამბოხება ჩაახშო „გერმანოფილმა- ლენინმა. მისმა წარუმატებლობამ გამოიწვია „რკინის ფელიქსის“ დროებითი დაცემა – ის გადადგა. თუმცა გადადგომა არ მიიღეს.

„და აქ იწყება ფელიქს ძერჟინსკის ბიოგრაფიის კიდევ უფრო საიდუმლო ფურცელი, – წერს ისტორიკოსი ს.მირონოვი. – სამოქალაქო ომის ყველაზე დაძაბულ დღეებსა და კვირეებში, როდესაც ბოლშევიკების ხელისუფლება კვლავ ბეწვზე ეკიდა, ის პირველი მსოფლიო ომის ცეცხლის ალში გახვეული რუსეთიდან ევროპაში მიემგზავრება. და სადმე კი არა – შორეულ ნეიტრალურ შვეიცარიაში. და რისთვის? რუსეთში რომ ჩამოიყვანოს ცოლი და შვილი! თითქოს მათი ჩამოყვანა არ შეეძლოთ საგანგებო კომისიის თავმჯდომარის გარეშე!.. უცნაურობანი კვლავაც გრძელდება. ძერჟინსკი აძლევდა ჩვენებებს გამოძიებას მემარცხენე ესერების ამბოხების საქმეზე. ეს ჩვენებები შედარებით ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა. ფელიქს ძერჟინსკის ჩვენებანი უნდა მიეცა სასამართლოზე. მაგრამ... ამონაწერი ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული რევოლუციური ტრიბუნალის 1918 წლის 27 ნოემბრის ოქმიდან. ტრიბუნალმა დაადგინა: გამოცხადდეს შესვენება 10 წუთით. შესვენების შემდეგ სხდომა გამოცხადდა „გაგრძელებულად“... ბრალმდებელმა კრილენკომ განაცხადა, რომ, ვინაიდან მოწმედ გამოცხადებული ამხ. ძერჟინსკის ჩვენებანი არის საქმეში, დაკითხვის საჭიროება აღარ არის. ტრიბუნალმა დაადგინა: მოწმედ გამოძახებული ამხ. ძერჟინსკი არ დაიკითხოს. რატომ არ უნდა დაიკითხოს?!“ („სამოქალაქო ომი რუსეთში“).

რამდენიმე ხნის შემდეგ ძერჟინსკი დაუბრუნდა საგანგებო კომისიის ხელმძღვანელობას. უფრო მეტიც, ამ მრისხანე ორგანიზაციაში კვლავ მიიღეს მირბახის მკვლელი ბლუმკინი, ვისაც სიტყვა შეაწია თავად ტროცკიმ.

ამრიგად, ჩვენ წინაშე ისახება გრანდიოზული შეთქმულების სურათი, რომელიც მოიცავდა მემარცხენე და მემარჯვენე ესერებს, აგრეთვე მემარცხენე კომუნისტებსაც და ტროცკის მომხრეებსაც. ამ შეთქმულების ძაფები კი მიდიოდა დასავლეთში. ანტანტა მთლიანად იყო დაინტერესებული, რომ დაებრუნებინა რუსეთი და მიემართა იგი გერმანიის წინააღმდეგ. და ამ მიზნებში ის უსირცხვილოდ თამაშობდა როგორც პატრიოტულ, ისე რევოლუციურ გრძნობებზე.

შემდგომში ორი „რკინის“ ბელადი – ძერჟინსკი და ტროცკი კიდევ შეეცდებიან ერთად თამაშს. 1921 წელს მთავარმა ჩეკისტმა მხარი დაუჭირა მთავარ წითელარმიელს, რომელიც პროფკავშირების მილიტარიზაციისთვის იბრძოდა. გამოჩენილ ტროცკისტებთან – ლ.პ.სერებრიაკოვთან, ე.ა.პრეობრაჟენსკისთან, ხ.გ. რაკოვსკისთან ერთად „რკინის ფელიქსი“ ჩადგა (მერამდენედ?) ანტილენინურ ოპოზიციაში. თანაც ის არ შემოფარგლულა პოლიტიკური დისკუსიებით, არამედ შეეცადა ტროცკის მხარდასაჭერად მოეხდინა საგანგებო კომისიის მთელი სისტემის მობილიზაცია. მოგვიანებით სტალინმა მისი ქცევა შემდეგნაირად შეაფასა: „ძერჟინსკიმ არა მხოლოდ მისცა ხმა, არამედ ღიად დაუჭირა მხარი ტროცკის ლენინის წინააღმდეგ ლენინის თანდასწრებით... მეტად აქტიური იყო ტროცკი, და მას უნდოდა მთელი მთავარი პოლიტიკური სასამართლო დაეყენებინა ფეხზე ტროცკის დასაცავად“.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-48.

ჭადრაკი

# იუბილარს კასპაროვმაც მიულოცა



**გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში ზეიმით აღინიშნა საერთაშორისო დიდოსტატის, მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის მესამე პრიზიორის, ევროპის ჩემპიონატების ოქროსა და ბრინჯაოს მედალოსნის, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულისა და პრიზიორის, ფიდეს ვიცე-პრეზიდენტის ზურაბ აზმაიფარაშვილის დაბადებიდან 50 წლის იუბილე.**

საზეიმო საღამო გახსნა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ. მისალმებებით გამოვიდნენ დიდოსტატი თამაზ გიორგაძე, გივი გამრეკელი, მწერლები — როსტომ ჩხეიძე და ვახტანგ ჯავახაძე, მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი გარი კასპაროვი, რომელიც სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის ჩამოვიდა საქართველოში.

— ჩემი და ზურაბ აზმაიფარაშვილის ურთიერთობა 1976 წლიდან იწყება, — თქვა მსოფლიოს ჩემპიონმა: — მაშინ თბილისში საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გავიმარჯვე და გზა გამეხსნა საერთაშორისო სარბიელისკენ. იმ დროიდან ჩვენი მეგობრობა არ შეწყვეტილა. მეტიც — ზურაბი გუნდში მოვიწვიე და იგი მსოფლიო ჩემპიონობისთვის სამ მატჩში მეხმარებოდა. მისი ოპტიმიზმი ყოველთვის იმედით აღმავსებდა. ასეთი ადამიანი ჩემთვის დიდი ფსიქოლოგიური დასაყრდენი იყო. იშვიათობაა ისიც, რომ ამ დონის დიდოსტატი აქტიურ საჭადრაკო ცხოვრებას შესანიშნავად უთავსებდა საზოგადოებრივ და სამწვრთნელო საქმიანობას.

ვსარგებლობ შემთხვევით და ჩემს მეგობარ ზურაბ აზმაიფარაშვილს 50 წლის იუბილეს ვულოცავ...

შეხვედრის დასასრულს ზურაბ აზმაიფარაშვილმა, რომლის წიგნის — „პატარა ქვეყნის დიდოსტატი“ — პრეზენტაციაც გუშინ გაიმართა, გულთბილი მილოცვებისთვის დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა.

# ორი ტურით ადრე

**ხანმოკლე აღმოჩნდა ქართველი დიდოსტატის ბაადურ ჯობავას ერთპიროვნული ლიდერობა. ხორვატეთის ქალაქ რიეკაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის IX ტურში იგი რუს ივან ნეპომნიაშჩისთან დამარცხდა, რომელიც 7,5 ქულით ეულად დაწინაურდა კიდეც.**

მის ერთბაშად ექვს უახლოეს მდევარს, მათ შორის ჩვენს თანამემამულეს, უკრაინელ ეფიმენკოს, აზერბაიჯანელ მამედოვსა და სომეხ აკოფიანს კონტინენტური ფორუმის ფინიშამდე ორი ტურით ადრე 7-7 ქულა აქვს.

გაცილებით უარესი სამედლო პერსპექტივა აქვთ „ჯვაროსან“ მანდილოსნებს. მათგან საუკეთესო შედეგის — 6 ქულა — მქონე ნინო ხურციძემ უმნიშვნელოვანესი პარტია წააგო გამოჩენილ შვედ დიდოსტატ პია კრამლინგთან:

ქალბატონთა ტურნირში 7,5 ქულით წამყვან პოზიციაზე ლიტველმა ვიქტორია ჩმილიტემ გადაინაცვლა, რომელმაც ყოფილი ყოჩის, პოლონელი მონიკა სოჩკოს გვირგვინოსანი დააშამათა.

ფეხბურთი

# ბრიტანული შოკი

**ამ დღეებში მხოლოდ „ტელეიმედის“ მოდელირებულმა „ქრონიკამ“ როდი იტვირთა თანამემამულეთა დაზაფვრა.**

**შოკშია დიდი ბრიტანეთიც, ოღონდ მისი მასშტაბები ოდნავადაც ვერ გაუწევს კონკურენციას ქართულ აწმყოს.**



საუბარია „ლოს-ანჟელეს გალაქსის“ მიერ „მილანში“ სეზონის ბოლომდე იჯარის წესით განათხოვრებულ დევიდ ბექჰემზე, რომელიც პირველი ინგლისელი ფეხბურთელი უნდა გამხდარიყო, რომელიც მეოთხე მსოფლიოს ჩემპიონატში მიიღებდა მონაწილეობას, მაგრამ...

„კიევოსთან“ გამართული „სერია-ა“-ს XXVIII ტურის საშინაო მატჩის 88-ე წუთზე ბექჰემ სრულიად უწყინარ სიტუაციაში უმძიმესი ტრავმა მიიღო და, დამდეგ „მუნდიალს“ ვინლა ჩივის, შესაძლებელია, 32 წლის ასაკში საერთოდ დაასრულოს შთამბეჭდავი კარიერა.

წინასწარი დიაგნოზით, ფაბიო კაპელოს გუნდის საკულტო ფიგურას ჯვარედინი იოგები აქვს გაწყვეტილი, ოპერაციისშემდგომი სარეაბილიტაციო პერიოდი კი, სავარაუდოდ, რამდენიმე თვეს გასტანს. მოასწრებს თუ არა კუნძულელთა ნახევარდაცვის ბურჯი სათანადო კონდიციების აკრეფას სამხრეთაფრიკული ბატალიების დაწყებამდე — საკითხავი, აი ეს არის.

ფინეთის განთქმულ კლინიკაში ქირურგიული ჩარევისთვის საკუთარი თვითმფრინავით ჩაფრენილი ბექჰემი, ეტყობა, ვიღაცამ ან რაღაცამ დათარსა, რადგან მას უკვე მეორედ შეემთხვა ასეთი ფარსაგი. შეგახსენებთ, რომ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ „მანჩესტერის“ მაისურით მოთამაშე დევიდს ჩემპიონთა ლიგის მატჩში ფეხი მოტეხა „დეპორტივოს“ არგენტინელმა „ყასაბმა“ ალდო დუშერმა, მაგრამ მაშინ დასტაქრებმა შეუძლებელი შეძლეს და იგი მალევე დააბრუნეს მწყობრში.

განმეორდება სასწაული?

კრივი

# AIBA-ს რჩეული

**ამას წინათ სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციის (AIBA) ინიციატივით კანადის ქალაქ ტროეს-რივერსში მოწყობილ მწვრთნელთა კურსებზე წარმატებით ჩააბარა გამოცდები საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, საქართველოს კრივის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარემ, AIBA-ს 3 ვარსკვლავის არბიტრმა, ფოთის სპორტის სამსახურის უფროსმა ზურაბ ტიბუამ და კრივის საერთაშორისო ინსტრუქტორის წოდებაც მიენიჭა.**

რთული და ნაყოფიერი სპორტული გზა განვლო ზურაბ ტიბუამ. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების — ტარიელ ვერულაშვილისა და ოთარ ზებულაშვილის შეგირდი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი, საკავშირო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორია, თუმცა სახელი უფრო არბიტრობით მოიხვეჭა. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, როცა ახალ ამპლუაში პირველ ნაბიჯებს დგამდა, საერთაშორის რინგზე უმწიკვლო, სამართლიანი მსაჯობისთვის ევროპის სამოყვარულო კრივის ასოციაციამ ქართველ პროფესიონალს EABA-ს არბიტრის წოდება მიაკუთვნა, ორი წლის შემდეგ კი იგი AIBA-მაც გამოარჩია. სწორედ აქედან გაიხსნა ზურაბ ტიბუასთვის საერთაშორისო ასპარეზი და ელიტ-არბიტრების გვერდით დაიმკვიდრა ადგილი. რეგულარულად მონაწილეობს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებსა და პირველობებში, უმაღლესი კატეგორიის საერთაშორისო ტურნირებში.

— ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2007 წლის ჩიკაგოს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა, — მითხრა ზურაბ ტიბუამ. უმთავრესად ამ შეჯიბრებისა და სხვა ტურნირების შედეგების გათვალისწინებითაც AIBA-მ შეარჩია 32 არბიტრი, რომლებიც 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშების ორთაბრძოლებს უნდა მომსახურებოდნენ. მათ შორის მეც აღმოვჩნდი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან, მოგეხსენებათ, ოლიმპიადაში მონაწილეობა როგორც სპორტსმენებისთვის, ისე არბიტრებისთვის საოცნებოა.

ჩინეთის დედაქალაქის რინგზე რამდენიმე პაექრობის მაღალ დონეზე მომსახურების შემდეგ ზურაბ ტიბუას ოლიმპიური ფინალის მსაჯობაც ანდეს და იქაც უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. იმავე წლის დეკემბერში კრივის საერთაშორისო ფედერაციამ ქართველი არბიტრი მოსკოვის მსოფლიოს თასის გათამაშებაშიც მიიწვია, მაგრამ აგვისტოს მოვლენების შემდეგ პროტესტის ნიშნად შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი თქვა.



— რუსებმა ჩემი ქვეყანა ცეცხლის ალში გაახვიეს, ჩემს მშობლიურ ფოთში კი რუსის ტანკები იდგნენ და მათს დედაქალაქში როგორ ჩავიდოდი, — ამბობს ზურაბი.

შარშან კრივის საერთაშორისო ფედერაციამ არბიტრები სამ კატეგორიად დაყო და შესაბამისი ვარსკვლავები მიაკუთვნა. ქართველი მსაჯი იმ 30 რჩეულს შორის მოხვდა, რომლებიც მხოლოდ უმაღლესი კატეგორიის ტურნირებს მოემსახურებიან. კანადაში მსაჯ-ინსტრუქტორის წოდების მინიჭებამ ფოთის სპორტის სამსახურის უფროსს ახალი საინტერესო ჰორიზონტები გადაუშალა — რეგიონული პრინციპით იგი სხვადასხვა ქვეყანაში არბიტრებისთვის სემინარებს გამართავს, ახალბედა მსაჯებს კი ამა თუ იმ კატეგორიის მისაღებად რეკომენდაციებს გაუწევს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ზურაბ ტიბუას პროფესიული მიღწევები მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენი ქვეყნის სპორტულ ავტორიტეტს და, რაც მთავარია, სტიმულს მისცემს მის ახალგაზრდა კოლეგებს, უფრო თამამი ნაბიჯი გადადგან საერთაშორისო სარბიელისკენ.

— ჩემი ბოლოდროინდელი წარმატებები გარკვეულწილად საქართველოს კრივის ფედერაციის თანადგომითაც არის განპირობებული, — ამბობს AIBA-ს ექსტრა კლასის არბიტრი. — ამიტომ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ფედერაციას, განსაკუთრებით მის გენერალურ მდივანს ბატონ ვლადიმერ ახალკაცს, რომელსაც ჩემს პროფესიულ დაოსტატებასა და წინსვლაში დიდი წვლილი მიუძღვის...

წლეულს ზურაბ ტიბუას უამრავ ტურნირში მოუწევს მონაწილეობა. მათგან უახლესი ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაა. იგი აპრილში აზერბაიჯანის დედაქალაქის რინგზე გამართულ ორთაბრძოლებს იმსაჯებს.

**ლექსო ცინცაძე**

ინტერნეტიდან

## ელენა ისინბაევა მიდის?

**ყატარში, მძლეოსანთა ზამთრის მსოფლიო ჩემპიონატზე ხელი მოეცარა ლეგენდარულ ჭოკით მხტომელს, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონსა და რეკორდსმენს ელენა ისინბაევას. მან ვერ გადალახა 4,75 მეტრიც კი და საბოლოო ანგარიშში მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა.**



**ფიასკო დოხაში და უმედლოდ დარჩენა, ჩემპიონატის დაწყებამდე ახალ რეკორდზე დიდი დაპირებების მიუხედავად, სახელოვანი მხტომელისთვის უკვე მეორეა. მან ასეთივე ჩავარდნა 2009 წელს პლანეტის საზაფხულო პირველობაზე ბერლინშიც განიცადა.**

დოხაში წარუმატებელი გამოსვლისთანავე, ისინბაევამ განაცხადა, რომ მას დასვენება სჭირდება და ამისთვის დიდი ხნით აპირებს სპორტიდან წასვლას.

„ჩემგან ყველა ელოდება მხოლოდ გამარჯვებას, ეს კი ძალიან მძიმეა, — იმეორებს ელენას სიტყვებს პრესა, — ტაიმ-აუტის აღება და ერთი წლის დასვენება მინდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თავს ვანებებ სპორტს. მინდა კვლავ გამოვიდე ლონდონის ოლიმპიადაზე და მსოფლიო პირველობაზეც მოსკოვში. მე ძალზე დავიღალე, პირველ რიგში — მორალურად. ახლა ყველას წინაშე თავს ვერ ვიმართლებ, თუ რატომ ვერ ავიღე მორიგი „ოქრო“... ახლა წავალ და მწვრთნელს მოვეთათბირები და ვიფიქრებ, თუ რა გავაკეთო მომავალში“.

აღსანიშნავია, რომ დოხაში წარუმატებლობის შემდეგ, ელენა აღარ ტიროდა, როგორც ეს მოხდა ზაფხულში ბერლინში, პირიქით ის მშვიდად საუბრობდა ჟურნალისტებთან.

## გათხოვებას უკრძალავენ

**სამწუხაროდ, ასეთი ცნობა გავრცელდა, რომ პოპულარულ ისრაელელ მოდელს, კალათბურთისა და ჭიდაობის „კრავ მაგა“-ს დიდ მოყვარულს ბარ რაფაელის გათხოვების ნებას არ აძლევენ. მან ამ დღეებში მიიღო წერილი-გაფრთხილება ებრაული ნაციონალური ჯგუფიდან „ლეხავა“, რომლითაც მას უკრძალავენ ჰოლივუდელ მსახიობზე ლეონარდო დიკაპრიოზე გათხოვებას. „შენი ბებია და დიდი ბებია ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ მათი შთამომავლის სისხლი გაფუჭდებოდა. დაუბრუნდი შენს ფესვებს და ნუ გაჰყვები დიკაპრიოს“, — ნათქვამი ყოფილა ამ გზავნილში.**

შეგახსენებთ, რომ დიკაპრიო, რომელსაც ქალიშვილი, ხუთი წელია, ხვდება, ნახევრად გერმანელია, ნახევრად იტალიელი. ხოლო მას საცოლის ეროვნება სულაც არ აწუხებს.

თავად ქალიშვილი ამაყობს თავისი ფესვებით, და მუშაობს ისრაელთა არაოფიციალურ „წარმომადგენლად“ უცხოეთში.

ამას წინათ რაფაელიზე ძალზე განაწყენდნენ ისრაელელი სამხედროები. არმიის გენერალმა ავი ზამირმა თანამოქალაქეებს მოუწოდა კიდეც, უარი თქვან იმ საქონელზე, რის რეკლამასაც რაფაელი ეწევა.



საქმე იმაშია, რომ წარმატებული მოდელი ითვლება ყველაზე ცნობილ „უკლონისტად“. რათა თავი აერიდებინა ისრაელის არმიაში სავალდებულო სამსახურისთვის, ის ფიქტიურად გათხოვდა შორეულ ნათესავზე, ქორწილიდან ორი კვირის შემდეგ კი გაეყარა მას. ისრაელში ქალებისთვის სავალდებულოა სამხედრო სამსახური 1 წლითა და 9 თვით.

◉ გილოცავთ!

# შენი ასი წლისთავიც ერთად გვეზეიმოს



უკვე 80 წლისა გამხდარა როლანდ ბასილაშვილი, ჩვენი კოლეგა და მეგობარი, დამსახურებული ჟურნალისტი, ღირსების ორდენოსანი, გამორჩეული მოკალმე და მოქალაქე.

არადა, ნაოჭი რაა, ნაოჭი ვერ დაუმჩნევია წლებს ამ გაუზზარავი, კლდის ნატეხივით მტკიცე კაცისთვის, მოსირმული თმა ძველებურად ჯიუტად ჩამოშლია შუბლზე, ხმა და მოძრაობაც ოდინდელი შერჩენია, თითქოს ჟამთასვლამ გვერდი აუარაო. მხოლოდ თვალებში ჩაწოლილი სევდა ამხელს მის დიდ სატკივარს, საყვარელი ვაჟის მოულოდნელი და უღვთო დაკარგვის გამო.

მთელი ცხოვრება რედაქციებში გაჰნვლო, ჯერ — „კომუნისტი“, მერე — „საქართველოს რესპუბლიკა“... სოფლის მეურნეობის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, საქმის ცოდნით, მაღალი პასუხისმგებლობით, ოპერატიულობით, მშობლიური მიწის უსაზღვრო სიყვარულით გამოირჩეოდა, მრავალი კარგი წამოწყების, საქმიანი წინადადების ავტორი და შემწე იყო.

ასე იცხოვრა, ასე მოვიდა 80 წლის ნიშნულთან.

წინ კიდევ დიდი გზაა. გვჯერა, კვლავაც უღალატოდ გაიტანს სვრელს, ის სჭირდება ოჯახს, ქვეყანას.

დაბადების დღეს გილოცავთ, როლანდ, შენი ასი წლისთავიც ერთად გვეზეიმოს.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

◉ ნიჟფენა

# „სამეფო პალიტრის“ გამოფენა ქარვასლაში



**თბილისში საქართველოს ეროვნულ ისტორიულ მუზეუმ „ქარვასლაში“ მისულ დამთვალიერებლებს საშუალება ექლევათ იხილონ უჩვეულო გამოფენა. მუზეუმის საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილია სხვადასხვა თაობის ქართველ მხატვართა ფერწერული ნამუშევრები. აქვეა გრაფიკული ნამუშევრები, ქანდაკება (სულ 60 მხატვრის შემოქმედებაძ.**

წარმოდგენილ ექსპონატებს შორისაა ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავადაზნაურთა ლიცეუმის მოსწავლეთა ნამუშევრები.

როგორც ჟურნალისტებს განუცხადა ისტორიულ საგვარეულოთა, თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა კავშირისა და მონარქისტული მოძრაობა „სამეფო გვირგვინის“ ხელმძღვანელმა ქალბატონმა ია ბაგრატიონ-მუხრანელმა, გამოფენის ყველაზე უფროსი მონაწილეები ისეთი ცნობილი ოსტატები არიან, როგორებიც ბუდუ სირბილაძე და ემირ ბურჯანაძეა, ყველაზე უმცროსი კი — 6 წლის ანა ჭინჭარაულია...

გამოფენის გახსნისას გამომსვლელმა ხელოვნებმა აღნიშნეს მხატვართა გაერთიანება „სამეფო გვირგვინის“ სიცოცხლისუნარიანობა, რადგან მან გაუძლო ყოველგვარ სირთულეებსა და სიძნელეებს, გადალახა მრავალი წინაღობე, ქვეყანაში არასტაბილურობით შექმნილი, და შემოქმედებითი პროცესი არ შეუწყვეტია.

გამომსვლელთა შორის იყვნენ ცნობილი ხელოვნების მოღვაწეები, სტუმრები და სახვითი ხელოვნების თაყვანისმცემლები, რომლებიც ვერ მალავდნენ აღფრთოვანებას ასეთი მრავალპროფილიანი გამოფენის გამო. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქარგვით შესრულებული სურათები რელიგიურ თემაზე.

მოქანდაკე უშანგი ქადაგიშვილმა „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტს განუცხადა:

— ეს უდიდესი მოვლენაა, რომელიც პროპაგანდას უწევს ჩვენი სახვითი ხელოვნების აწმყოსა და მომავალს. ამ გამოფენის ნახვისას ყველა ადამიანი იგრძნობს შინაგან განწმენდას და სულიერ გაჯანსაღებას.

გამოფენა საქართველო-იაპონიის მეგობრობას ეძღვნება და 20 მარტამდე გასტანს. მისი დევიზია „მამული, ენა, სარწმუნოება, მეფე“.

**მამია ალაშვილი**
**ავტორის ფოტო.**





◉ ინფორმაცია

## დროულმა საექიმო ჩარევამ სიცოცხლე შენარჩუნა

ქუთაისის ინფექციურ საავადმყოფოში ჯილეხის დიაგნოზით 37 წლის ქალი მოათავსეს. ის ქუთაისში ზუგდიდიდან გადაიყვანეს.

მას ინფექცია ხელის მტევნიდან განუვითარდა. პაციენტს ანტიბიოტიკური თერაპია უტარდება და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

როგორც დაავადებათა ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, ექიმისთვის დროულად მიმართვისა და მკურნალობის დაწყების შემთხვევაში, დაავადება სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენს. სიცოცხლისათვის საშიში ის მხოლოდ დაგვიანებული მკურნლობის დროს ხდება.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ჯანმრთელობა

# რევოლუცია მედიცინაში?!

## ამერიკელი მეცნიერები დარწმუნებული არიან: ღვინო და შოკოლადი ჰკურნავს კიბოს!

**თუმცა კიბოს სამკურნალოდ უნივერსალური წამალი ჯერ არ გამოუგონიათ, მაგრამ მაინც უკვე შეადგინეს იმ პროდუქტების სია, რომლებსაც შეუძლიათ ონკოლოგიური დაავადებების დამარცხება.**



**ეს გაჟღერდა ამ დღეებში გამართულ TED კონფერენციაზე. ამ ლონისძიებებს კი ყოველწლიურად აწყობენ აშშ-ში განსაკუთრებით უნიკალური იდეების გაზიარებისთვის. იქ ანგიოგენეზის ფონდის თავკაცმა ვილიამ ლიმ განაცხადა, რომ სიმსივნეებს შეიძლება ვებრძოლოთ... სწორი დიეტით!**

— ჩვენ შევადგინეთ პროდუქტების რეიტინგი მათი ონკოთერაპევტული თვისებების მიხედვით, — თქვა ბატონმა ლიმ, — სწორედ ის, რასაც ჩვენ ყოველდღიურად ვჭამთ, არის ყველაზე ეფექტური ქიმიოთერაპია.

ასეთ სიას ანგიოგენეზის ფონდის სწავლულები (ქართულად კი „ანგიოგენეზი“ ნიშნავს „სისხლძარღვთა ზრდას“ძ, უკვე რამდენი წელია, ადგენენ, ეყრდნობიან რა უამრავ გამოკვლევას „კიბოს საწინააღმდეგო პროდუქტების“ ძიებაში. ბევრი მათგანი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც არღვევენ სიმსივნის სისხლმომარაგებას. ამით კი შლიან თვით სიმსივნეს, ახლა უკვე არსებობს ათამდე სამკურნალო პრეპარატი, რომლებიც კურნავენ იმავე პრინციპით — სიმსივნის სისხლისგან დაცვას (აი, ამას ჰქვია ანტიანგიოგენური თერაპიაძ.

— ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ბუნებაში პროდუქტების დიდ რაოდენობას შეუძლია ანტიანგიოგენეზის ფუნქციის შესრულება, — დაამატა ვილიამ ლიმ, — ბევრი ადამიანისთვის სიმსივნის დიეტური მკურნალობა, შესაძლოა, გახდეს ერთადერთი საშუალება. წამლები ხომ ძვირი ღირს და ყველას როდი შეუძლია მათ შეძენა. **ჩვენ თუ მართლები ვართ, მაშინ ესაა რევოლუცია მსოფლიო მედიცინაში.** მაშინ ყველაფერი უნდა შეიცვალოს: წარმოდგენაც სწორ კვებაზე და დაზღვევის სისტემაც!

მაგალითის სახით მეცნიერებმა მოიტანეს ჰარვარდის მედიცინის სკოლის სპეციალისტთა გამოკვლევები. მათ დაამტკიცეს, რომ საკვებად მოხარშული პომიდორის (ტომატისძ გამოყენება კვირაში რამდენჯერმე ამცირებს პროსტატის კიბოს გაჩენის ალბათობას 30-50 პროცენტით. სხვათა შორის, ეს მიიჩნიეს ყველაზე უგემურად სხვა კიბოსსაწინააღმდეგო პროდუქტებს შორის.

ტომატის გარდა სიაში შესულია: **მწარე შოკოლადი, შავი ღვინო, ნიორი, მოცვი, მწვანე ჩაი, ოხრახუში, შავი ყურძენი, კურკოვანები** (ჭერამი, ატამი, ალუბალი, ბალიძ, **სოია, მანგო.**

განსაკუთრებით ეფექტურად გამოიყენება მხოლოდ ერთი რომელიმე პროდუქტი კი არა, არამედ ყველა ერთად — კომპლექსში.



ამას გარდა, აღმოჩნდა, რომ საჭმელი ამ სიიდან ებრძვის ზედმეტ წონასაც. თანაც იმავე პრინციპით, როგორც კიბოს. ეს პროდუქტები ამცირებენ ცხიმიანი უჯრედების მარაგს, ართმევენ მათ სრულფასოვანი სისხლმომარაგების საშუალებას.

მართალია, ჯერჯერობით ეს ექსპერიმენტი მხოლოდ იმ თაგვებზე ჩაატარეს, გენეტიკურად მიდრეკილება რომ აქვთ სიმსუქნისკენ. დიეტის დროს, მითითებულ პროდუქტებს რომ შეიცავდა, ისინი წონას კარგავდნენ.

რასაკვირველია, მეცნიერთა ასეთ ხმამაღალ განცხადებას შემოწმება უნდა. ექიმები კი კიბოს მკურნალობას ძველებურად აგრძელებენ. მაგრამ, თუ დიეტას ნამდვილად შეუძლია სიმსივნისგან ხსნა, მაშასადამე ის გამოდგება ამ საშინელი ავადმყოფობის პროფილაქტიკადაც.

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА



შვილი ნანული (ნანაძ გუნია, შვილიშვილები ედუარდ კავთიძე, გიორგი ლაგვილავა, ძმისწულები გელა, დავითი, ნატო, ია, რძლები თამარ გოთოშია, ნანა შეყილაძე, ნინო ჯანჯღავა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერი (მარიამიძ მიხეილის ასული ჭანტურია

დაკრძალვა 20 III, 15 სთ. აბაშის რაიონი, სოფ. მაცხოვრისკარი (განათლებისკარიძ. გამოსვენება მაცხოვრისკარის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრიდან.

**მიმდინარე წლის 7 მაისს, 13 საათზე, ქ. ჭიათურაში, მუნიციპალიტეტის შენობაში შედგება სს „კავკასავტომაგისტრალის“ კუთვნილი ასფალტის ქარხნის (ჭიათურა, საჩხერის გზატკეცილი 2ძ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტის საჯარო განხილვა.**

საქმიანობის მიზანია ასფალტის წარმოება.

გარემოზე ზემოქმედების პროექტის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:

— ქ. თბილისი, გულუას ქ. №6, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

— ჭიათურა, საჩხერის გზატკეცილი 2, სს „კავკასავტომაგისტრალის“ კუთვნილი ასფალტის ქარხანა.

პროექტთან დაკავშირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების მიწოდება შეიძლება შემდეგ მისამართზე:

— თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის 36-ე კმ. სს „კავკასავტომაგისტრალი“.

**ქ. თბილისის №14 საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით დამტკიცებული სკოლის შენობის 50.17 კვ.მ; 48.61 კვ.მ; 48.42 კვ.მ.; 13.83 კვ.მ. და 141 კვ.მ. ფართის იჯარით გასაცემად. საწყისი საიჯარო ქირა (ყოველთვიურიძ:**

**50.17 კვ.მ. ფართის 1 კვ.მ. — 7 ლარი**
**48.61 კვ.მ. ფართის 1 კვ.მ. — 7 ლარი**
**48.42 კვ.მ. ფართის 1 კვ.მ. — 7 ლარი**
**13.83 კვ.მ. ფართის 1 კვ.მ. — 6 ლარი**
**141 კვ.მ. ფართის 1 კვ.მ. — 5 ლარი**

**საიჯარო ურთიერთობის მაქსიმალური ვადა 3 წელი.**

**განცხადებები მიიღება გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, ქ. თბილისის №14 საჯ. სკოლის დირექციაში. მის: ღოღობერიძის №10. ტელ. 69-23-59.**

**დირექტორი ზვიად მიმინოშვილი**

## დაიჯესტი

### მდიდრები სულ სხვანაირები არიან...



**ინდიან უელზი არც შუა საუკუნეების ხანის ევროპელი რაინდის ციხე-დარბაზია, არც ძველი აღმოსავლეთის რომელიმე მბრძანებლის ციტადელი. თუმცა ეს გალავნით შემოვლებული ერთი ციდა ქალაქი, რომელშიც სულ 1500 ბინადარია, ჭეშმარიტად შეუვალი ციხე-სიმაგრეა, რომელშიც შეღწევა მხოლოდ საგანგებო საშვებით და სპეციალური ნომრებით აღჭურვილი მანქანებით შეიძლება.**

საქმე ის არის, რომ ინდიან უელზი – მდიდართა ქალაქია, რომელიც მრავალი მულტიმილიონერისთვის ზამთრის შტაბ-ბინაა. ეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ტიპის პირველი ქალაქი სულაც არ არის. გარდა ინდიან უელზისა, ასევე მდიდრების ქალაქებია **როლინგ ჰილზი, ჰიდენ ჰილზი და ბრედბერი – კალიფორნიაში, მოდენ ბიჩი და გოლფი – ფლორიდაში...**

აღსანიშნავია, რომ ქალაქ როლინგ ჰილზის ბინადართ დაცვის სამსახური წელიწადში დაახლოებით 300 ათასი დოლარი უჯდებათ...

### ყველაზე გრძელი მანქანა...

**იტალიური წარმოშობის ამერიკელ მომღერალს ჯინო დენტის ავტომანქანას „ლონგესტი“ ერქვა, რაც „ყველაზე გრძელს“ ნიშნავს და, უნდა ითქვას, სავსებით ამართლებდა თავის უჩვეულო სახელს.** საქმე ის არის, რომ ექვსკარიანი ლიმუზინის სიგრძე 13 მეტ-




რი და 20 სანტიმეტრი იყო და ერთდროულად დაახლოებით 20 მგზავრის გადაყვანა შეეძლო.

### ფუტკრების შემოტევა

**რამდენიმე ხნის წინათ ლათინური ამერიკის ქვეყნის პანამის დედაქალაქის ცენტრალურ სავაჭრო ქუჩას ავენიდა სენტრალს... ფუტკრები შეესივნენ. შემთხვევის ადგილზე მაშველ მეხანძრეთა რამდენიმე რაზმი მივიდა, რომლებსაც საგანგებო დამცავი კომბინიზონები ეცვათ.** ათასობით შესეული გუნდიდან მეხანძრეებმა ჯერჯერობით მხოლოდ დაახლოებით 50-ის გაუვნებელყოფა შეძლეს, დანარჩენები „თბილად მოკალათდნენ“ აივნებზე, ყვავილების ქოთნებზე, სარეკლამო ფარებსა და ცინკის ლობეებზე. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ამ მწერთა, როგორც მათ კიდევ უწოდებენ, „მკვლელ ფუტკართა“, მოძრაობის სიჩქარე ისეთია, რომ რამდენიმე დღეში აშშ-ს მიაღწევენ.

### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +0 – +9 |
| ქუთაისი. | +12 – +21 |
| ბათუმი. | +14 – +16 |
| ზუგდიდი. | +14 – +18 |
| თელავი. | +1 – +11 |

### სტრადივარიუსის საიდუმლო

**რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მთელი მსოფლიოს ვიოლინოს ოსტატები ცდილობდნენ უბადლო იტალიელი ხელოსნების სტრადივარიუსის და გვარნერის ინსტრუმენტების უზადო ჟღერადობის საიდუმლოს ჩაწვდომას, მაგრამ ამაოდ.**

ამ „საუკუნის გამოცანის“ ამოხსნა ერთმა ტეხასელმა ბიოქიმიკოსმა შეძლო. აკვირდებოდა რა ელექტრონული მიკროსკოპით ხის ანათალს, რომელსაც ძველი



ხელოსნები ვიოლინოების დასამზადებლად იყენებდნენ, მან აღმოაჩინა, რომ სტრადივარიუსმაც და გვარნერიმაც იცოდნენ ხერხი, თუ როგორ უნდა დაეტოვებინათ ღია ხის პორები. ახლა საქმე, იმ ტექნოლოგიის მიგნებაღაა, რომელიც არ დაახშობს ხის პორებს მას შემდეგ, რაც წასმული ლაქი გაშრება.

### კანონშემოქმედების ჩემპიონები

**ნამდვილად ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ შვედეთი იმ ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება, სადაც სტატისტიკურად ყველაზე მეტი განკარგულება და კანონი გამოიცემა.** აღმოჩნდა, რომ ყოველ ახალ დოკუმენტს შვედეთში... ყოველ რვა საათში ერთხელ გამოსცემენ!

### ფული ქვაფენილზე

**კალიფორნიის შტატის ქალაქ ოკლენდის ქუჩაში პიკის საათებში დაჯავშნული ავტომანქანა მოძრაობდა. მოულოდნელად მანქანის უკანა კარი გაიღო და სავალ ნაწილზე რამდენიმე... ფულით სავსე ჩემოდანი გადმოცვივდა.** ლამის შეშლილი ხალხი კი თავპირისმტვრევით გამვლელი ავოტბუსებიდან და ავტომანქანებიდან ხტებოდა, ახლომდებარე ოფისებიდან გამორბოდა, ჯიბეებს დოლარების დასტებით ივსებდა და შემდეგ უკან მოუხედავად გარბოდა...

საგულისხმოა, რომ როგორც მეორე დღეს გაზეთები იუწყებოდნენ, სულ ქუჩაში დაიპნა 2,3 მილიონი დოლარი, რა თანხიდანაც პოლიციამ მხოლოდ... 110 ათასი დოლარის უკან დაბრუნება შეძლო...

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## დღის კალენდარი

### 17 მარტი

**ღირსისა გერასიმე იორდანელისა (47 5ძ; მოწამეთა პავლესი და დისა მისისა ივლიანასი (დაახლ. 273ძ; გრიგოლისა, კვიპროსის კოსტანცელ ეპისკოპოსისა; კეთილმსახურისა მთავრისა დანიელ მოსკოველისა (1303ძ; ღირსისა გრიგოლისა, ასელი ეპისკოპოსისა (1159X1185ძ; მოწამეთა: აკაკისა, კოდრატესი და სტრატონიკესი; ეგვიპტის პტოლმაიდაში წამებულთა (დაახლ. 273ძ.**



ამოდის 06.10
ჩადის 18.09



ამოდის 06.23
ჩადის 20.00

### დაიბადნენ:

1773 – **ჯოზეფ პრისტლი,** ინგლისელი ფილოსოფოსი, ქიმიკოსი, აღმოაჩინა ჟანგბადი, მიიღო ქლორწყალბადი და ამიაკი.
1903 – **ალექსანდრე ჭეიშვილი,** მწერალი, მეცნიერი. გარდაიცვალა 1962 წელს.
1906 – **კლავდია შულჟენკო,** საბჭოთა ესტრადის მომღერალი.
1911 – **ბერნარდ კაცი,** ინგლისელი ბიოფიზიკოსი და ფიზიოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი.
1917 – **ჯონ კოუდერი,** ინგლისელი ბიოფიზიკოსი და ფიზიოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი.
1921 – **ვასილ სმისლოვი,** რუსი მოჭადრაკე, ჭადრაკში მსოფლიოს მე-7 ჩემპიონი.
1927 – **სულხან ნასიძე,** ქართველი კომპოზიტორი, გარდაიცვალა 1996 წელს.
1930 – **სტივ მაკუინი,** ამერიკელი კინომსახიობი.

### გარდაიცვალნენ:

1603 – **ელისაბედ I,** ინგლისის დედოფალი.
1882 – **ჰენრი უოდსუორგი ლონგფელო,** ამერიკელი პოეტი.
1905 – **ჟიულ ვერნი,** ფრანგი მწერალი.
1909 – **ჯონ მილინგტონი,** ირლანდიელი დრამატურგი.
1946 – **ალექსანდრ ალიოხინი,** ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი.
1948 – **ნიკოლოზ ბერდიაევი,** რელიგიის ფილოსოფოსი.
1956 – **ირენ ჟოლიო-კიური,** ფრანგი ფიზიკოსი.

### მოვლენები:

**1713** – პეტერბურგში გაიხსნა ალექსანდრე ნეველის ლავრა.
**1743** – ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა გამოსცა ბრძანებულება სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.
**1804** – გერმანელმა ასტრონომმა ჰენრიხ ოლბერსმა აღმოაჩინა მესამე მცირე პლანეტა – იუნონა.
**1896** – პეტერბურგიდან რუსმა მეცნიერმა-ელექტროტექნიკოსმა ალექსანდრ პოპოვმა და მისმა თანაშემწემ რიბკინმა გადასცეს მსოფლიოში პირველი რადიოგრამა.
**1989** – მოხდა ყველაზე მავნე ეკოლოგიური კატასტროფა. წყნარ ოკეანეში, ალასკის ნაპირებთან, კატასტროფა განიცადა ნავთობის ტანკერმა. ოკეანეში დაიღვარა 11 მილიონ გალონამდე ნავთობი. ტანკერის ავარიის გამო აურაცხელი თევზი, ზღვის ცხოველი და ფრინველი დაიღუპა.

**მედიანიუსი**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7360 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3632 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6481 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7792 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.5165 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1608 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1727 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1279 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5433 ლარი |



## ანეკდოტები

ზის მოხუცი ივანიჩი სახლის წინ და ხარობს ეზოში მოთამაშე შვილიშვილის ცქერით:

– რა საოცარი ბავშვია ეს ჩვენი პეტკა! ეჰ, უფრო ღრმად რომ ვიყო დარწმუნებული, რომ იგი ნაღდად ჩემი შვილიშვილია...

მისმა ვაჟმა, ბიჭუნას მამამ, ყური მოჰკრა ამ სიტყვებს:

– მამი, როგორ უნდა გავიგო შენი ნათქვამი?! შენ რა, ჩემს ცოლზე ისეთი რამე გაიგე ან ასე ფიქრობ?

– არა, შვილო, შენს ცოლზე არა... – ამშვიდებს ივანიჩი.

* * *



სვანმა ხელოსანი გამოიძახა.

– ჩემი ტელევიზორი რაღაც გაფუჭდა. ხმა აქვს შესაკეთებელი.

– რა ვიცი, კაცო, ვიჯექი ჩემთვის, ყურს სახრახნისით ვიფხანდი და უცებ ხმა დაიკარგა...

* * *

– გარყვნილი ხარ?

– არა.

– ახლა გასწავლით!

* * *

– ექიმო, ჩემს ქმარს მარჯვენა ფეხი მარცხენაზე მოკლე აქვს. რა ქნას?

– უნდა იკოჭლოს...

* * *

– ნიკა, ვერ ამიხსნი, რატომ ამბობენ ჩვენზე, ასეთები არიანო (მიხო კედელზე აკაკუნებს)?

– აკაკუნებენ, – ამბობს პასუხად ნიკა.

– იჯექი, მე გავუღებ, – წამოდგება მიხო.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.